სპორტიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 4 ივლისი 2005 №149 (2472) ფასი 50 თეთრი

ჩოლარია დამთავრდა

ფედერაციის გენმდივანმა უფლებამოსილება მოუხსნა

2

37 მილიონის ამბავი

ჩელსიმ ტრეზეგეს ფასი მივცა

5



რუსს მექსიკელი შემოაკვდა

სანჩესის საბედისწერო შეცხრე რაუნდი

14

ფედერერი და ვინუსი: ორის უიმბლდონური სამოგა



AFP ლონდონიდან

შაბათს გამორჩეული უიმბლდონური ქალთა ფინალი იყო. ამერიკელმა ვინუს უილიამსმა თანამემამულე ლინდსი დევენპორტს სძლია — 4:6, 7:6 (7:4), 9:7. ამაში უჩვეული არაფერია, მაგრამ უჩვეულო თავად მათი შეხლის ხანგრძლივობა იყო — 2 საათი და 45 წუთი. რაც მთავარია, ეს იყო ძალზე დაძაბული, მიმზიდველი, ლამაზი და დრამატული ჩოგბურთი. ეს იყო ჩოგბურთი გამძლეობაზე, რომელშიც გამარჯვებამდე ვინუსს თუ ორი, დევენპორტს ერთადერთი ნაბიჯიღა აშორებდა, მაგრამ ბოლოს მაინც უილიამსმა იყოჩაღა და მესამედ აღმართა იქაური ჯილდო. გუშინ ზედიზედ მესამედ მოიგო უიმბლდონი ვაჟთა შორის გამარჯვებულმა შვიცარიელმა როჯერ ფედერერმა, ვინც ფინალში ამერიკელი ენდი როდიკი დაამარცხა — 6:2, 7:6, 6:4. ამგვარად, ფედერერი გახდა მსოფლიოში მესამე ვაჟი, ვინც უიმბლდონში მესამედ აღზევდა.



ჩოლარია დამთავრდა

ვალერი ჩოლარია — დღეიდან უკვე ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი. გუშინ ის ფედერაციის ბოლო მივლინებიდან დაბრუნდა, დღეს ფედერაციის ბუღალტერიას ხარჯთაღრიცხვას ჩააბარებს და მორჩა...

მივლინებით კი ვალერი ჩოლარია შვეიცარიაში, ფიფა-უეფას მოხელეებთან შეხვედრაზე იყო და ის უფლებამოსილება მოიხსნა, რაც აქამდე როგორც ფედერაციის გენმდივანს მათთან აკავშირებდა. ჩოლარიამ ფიფა-უეფას დახმარების პროექტებზე თავისი ფაქსიმილე გააუქმა, სხვა იურიდიული საკითხები მოაგვარა და საქმესაც ჩამოშორდა.

ჯერჯერობით ისევ უცნობია ვალერი ჩოლარიას მემკვიდრის ვინაობა, ამბობენ, ფედერაციის ახალი გენმდივანი უახლოეს დღეებში დაინიშნებაო. იქამდე კი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი საკადრო წმენდის პროცესშია. შევიტყვეთ, რომ ფედერაციის თანამშრომელთა 80 პროცენტი სამსახურიდან უკვე დაუთხოვიათ, მათ შორის საფინანსო და საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტების წევრები.

კოტა ინასარიძე

ამერი და გაგრა: მგზავრულ-ამხანაგური

უმაღლეს ლიგაში აღზევებულმა „ამერმა“ შაბათს ბაკურიანული შეკრება დაასრულა და თბილისში დაბრუნდა. გზად ამერელები გორში გაჩერდნენ და პირველ ლიგაში გადასულ „გაგრას“ „ქართლის“ სტადიონზე ამხანაგურად შეხვდნენ.

მატჩი პირველლიგელთა გამარჯვებით დასრულდა — ერთადერთი გოლი მესამე წუთზე ირაკლი კუტალიამ გაიტანა.

სწრაფი გოლის მერე გაგრელებმა საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე დაიწყეს ზრუნვა და ამერელთა მცდელობის მიუხედავად, მიზანს მიაღწიეს.

ნამატჩევს „ამერის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ გვითხრა: „სეზონის დაწყებამდე ერთი თვეა დარჩენილი და მზადების გეგმა ისე გვაქვს შემუშავებული, რომ გუნდი სასურველ ფორმაში სწორედ იმ დროისთვის უნდა იყოს. ბაკურიანულ შეკრებაზე აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გვქონდა გაკეთებული და მოთამაშეებს ბურთით თითქმის არც უვარჯიშიათ. ამდენად, „გაგრასთან“ არცთუ კარგ თამაშს და წაგებას ლოგიკური ახსნა აქვს. საგანგაშოს კი ვერაფერს ვხედავ. ერთადერთი ის არის, რომ წაგება, თუგინდ ასეთ ამხანაგურ მატჩში, გულდასაწყვეტია, რის გამოც ფეხბურთელებს ვუსაყვედურე — მათგან კარგ თამაშს იმდენად არ ვითხოვდი, მაგრამ ბრძოლის ჟინი რომ აკლდათ, ცუდი ეს იყო.“

დავძინოთ, რომ „ამერმა“ სახეცვლილი შემადგენლობით ითამაშა. ალექსანდრე კაიდარაშვილი გუნდს მამის გარდაცვალების გამო აკლდა, ამირან კედელაშვილი ტრავმირებულია, ზვიად და გიზო ჯელაძეები, უკვე გამცნეთ, კლუბმა ტრანსფერზე დააყენა, ახალგაზრდა ამერელები კი იტალიაში, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე იმყოფებიან.

ამერი: ნაჭყეპია (ნადირაშვილი 46), დავითნიძე, ხვადაგიანი (ა. აბაშიძე 80), გარუჩავა, ბერიანიძე, ჩხეტიანი (გელაშვილი 41, ჩხეტიანი 70), სილაგავა, დეკანოსიძე, დობროვოლსკი (ნადირაძე 43, დობროვოლსკი 77), დავითაშვილი (ჩიმაკაძე 79), სევასტოპულო.

ლუკა თალაკვაძე

სოხუმმა საუმაღლესლიგოდ ბორჯომიც დააგემოვნა

ჟორჟოლიანის გუნდში მატებაა

სოხუმის „დინამო“, რომელიც ხელახლა ახლახან შეიქმნა და პოლიტიკურ-პატრიოტული პრინციპით უმაღლეს ლიგაში ითამაშებს, დაკომპლექტების პროცესშია, სეზონისთვის ემზადება და უკვე ორი საკონტროლო მატჩიც გამართა — ჯერ ბოლნისის „სიონს“ მოუგო 2:0, ხოლო გუშინ „ბორჯომს“ 1:0 — გოლი ბესო შენგელიამ გაიტანა



გშრალ დეკანოსიძისის ფოტო

სოხუმელებმა უკვე საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი შეიმატეს, მათ შორის არიან გიგა ჟვანია და ლაშა ჯანგიძე „სპარტაკიდან“; მეკარეები — სეფიაშვილი „მერანიდან“ და ლაბაძე „სიონიდან“; მარჯვენაფლანგელები — თენგიზ უგრეხელიძე „სიონიდან“ და შოთა ჩომახიძე „საჩხერიდან“; შემტეები შენგელია „სიონიდან“. თითქმის გადაწყვეტილია, რომ „სოხუმში“ ითამაშებს მამუკა რუსია, ვინც ბოლოს „სიონში“ იყო.

კითხვის ნიშნის ქვეშაა ზაზა კვეკვესკირის და რუსეთის პირველი ლიგიდან წამოსული თემურ გადელიას საკითხი, ვინც ჯერჯერობით სოხუმის „დინამოში“ ვარჯიშობს.

ადრეც გაუწყეთ, რომ სოხუმელთა შორის უკვე არიან ვალტერ გუჩუა და ჯონი შალამბერიძე. ხოლო თენგიზ სიჭინავას სოხუმურ „დინამოში“ თამაშს უცხოეთში წასვლა ურჩევნია, შესაძლოა, აზერბაიჯანში დაბრუნდეს.

გარკვეულია გუნდის მთავარი მწვრთნელის, გოჩა ჟორჟოლიანის თანაშემწეთა ვინაობაც — ლერი გაბისკირია და რომეო გოგიტიძე.

— ჩვენ ახლა „ოლიმპის“ აკადემიის მოედანზე ვვარჯიშობთ. პირველი წრის საშინაო მატჩებს თბილისში ვითამაშებთ, თუმც სად, ჯერ უცნობია. მეორე წრეში კი შესაძლოა, მეტოქეებს ქუთაისში ან წყალტუბოში ვუმასპინძლოთ — გვითხრა ჟორჟოლიანმა.

მოკლედ, სოხუმის „დინამო“ გუნდად უკვე შეიკრა და ახლა მორიგ სპარინგ-მეტოქეებს ეძებს ესოდენ საჭირო საკონტროლო მატჩებისთვის — სავარაუდოთ მომდევნო ტესტ-თამაშს სოხუმელები 8 ივლისს გამართავენ.

დავით თავართქილაძე

წაგება და მოგება ამხანაგები ბრინჯ

გშრალ ფოტოგრაფ ფოტო

ამ უქმეებზე თბილისის „დინამომ“ შვეიცარიაში კიდევ ორი ამხანაგური მატჩი გამართა.

ქვეყნის ჩემპიონები შაბათს ცნობილ „გრასჰოპერს“ ეთამაშნენ და 1:0 მოიგეს. 85-ე წუთზე „დინამოს“ მთავარმეგოლე ლევან მელქაძემ გაიტანა გოლი, რომელიც ძალიან ეფექტური ყოფილა: ლევანმა ჩაწოდებული ბურთი მასპინძელთა საჯარიმოს კუთხესთან დასარტყმელად ჰაერშივე მოირგო და კარის შორეულ ცხრიანში ზუსტად ჩასვა.

აღსანიშნია, რომ „დინამოს“. მეკარემ ზვიად სტურუამ მელქაძის გოლამდე სამი წუთით ადრე მასპინძელთა თავდამსხმელ როჟერიუს პენალტი აუღო. ეს როჟერიუ კი „გრასჰოპერის“ მწვრთნელს შესვენებაზე შეცვლილი ჰყავდა, თუმც მერე მეტოქეთა შორის შეთანხმება დაარღვია და თავდამსხმელი ნახევარ საათში ისევ ათამაშა. დინამოელთა პროტესტის მიუხედავად, ამ ფაქტზე შვეიცარიელ არბიტრსაც წაუყრუებია. საერთოდ კი, თბილისელები მსაჯობით აღშფოთებულნი დარჩენილან. როგორც „დინამოს“ პრეს-სამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ გვითხრა, „გრასჰოპერი“ „დინამომდე“ დონეცკის „შახტარს“ გავიბრებია და მსაჯობით უკმაყოფილო უკრაინელებს თამაში მე-80 წუთზე მიუტოვებიათ.

„გრასჰოპერ“ — „დინამოს“ შეხვედრაში კი სტურუამ აღებული პენალტის გარდა ერთხელაც იყო-ჩაღა, ფორვარდის თავური ცხრიანიდან უკუაგდო. სამაგიეროდ, „დინამოს“ ოთხჯერ ჰქონდა საგოლე შანსი, მაგრამ „გრასჰოპერის“ მეკარეებსაც უმარჯვიათ, ჯერ კოლტორტს, შემდეგ — ჯეილს. ამ გახსენებაზე სათქმელია ისიც, რომ „გრასჰოპერმა“ „დინამოს“ უძლიერესი შემადგენლობა დაუპირისპირა. თბილისელთა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ კი ეს ფეხბურთელები ათამაშა: *სტურუა, ალადაშვილი, გიგაური, ორბელაძე, კანდელაკი, ოდიკაძე, ნოზაძე, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, მეგრელაძე (დვალიშვილი 81), მელქაძე (მახარაძე 88).*

მატჩის შემდეგ კახა ცხადაძემ თქვა: „გრასჰოპერთან“ ორკვირიანი შეკრების საკვანძო მატჩი გვქონდა. სწორედ ასეთ მეტოქესთან თამაში მოგვცემდა ჩვენი შესაძლებლობების რეალურად შეფასების საშუალებას. კმაყოფილი ვარ, „გრასჰოპერს“ ტემპშიც ავყევით და ორთაბრძოლების მეტი წილიც მოვიგეთ. თავიდან, ცოტა არ იყოს, ნახევარმცველები დაბნეულები ჩანდნენ, მაგრამ შემდეგ სწორედ მათ მოიპოვეს გადამწყვეტი უპირატესობა, რაც ანგარიშშიც აისახა. „სენტ გალენთან“ და „გრასჰოპერთან“ ფიზიკური დატვირთვების შემდეგ ვითამაშეთ და გამოჩნდა, რომ ამ მხრივ გუნდი კარგადაა მომზადებული. ბოლო მატჩი „შაფჰაუზენთან“ გვაქვს და უკვე იმ ფეხბურთელებს გამოვიყენებ, რომლებსაც „სენტ გალენთან“ და „გრასჰოპერთან“ არ უთამაშიათ, ან ნაკლები დატვირთვა ჰქონდათ.“

„შაფჰაუზენთან“ კი „დინამო“ 1:2 დამარცხდა. ამ მოსამზადებელ ეტაპზე ეს თბილისელთა პირველი წაგება იყო. მართალია, კახა ცხადაძეს, როგორც თავად თქვა, საამმატჩოდ შეკრებაზე ნაკლებად დატვირთულ ფეხბურთელთა გამოყენება ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ...

— „შაფჰაუზენთან“ მატჩის გამართვის აუცილებლობა, ერთი შეხედვით, აღარც იყო, მაგრამ გვსურდა, რომ შეკრებაზე ყველა ფეხბურთელისთვის მიგვეცა თავის გამოჩენის შანსი. ასეც გავაკეთეთ, თუმცა მატჩისას იძულებულნი გავხდით, „სენტ გალენთან“ და „გრასჰოპერთან“ ნათამაშევი ფეხბურთელებიც გამოგვეყვანა. „შაფჰაუზენთან“ მატჩმა „დინამოს“ შემადგენლობა თითქმის საბოლოოდ ჩამოყალიბა — თქვა „დინამოს“ თავკაცმა.

ზოიძე (სტურუა 46), ალადაშვილი (ფირცხალავა 46), ქემოკლიძე (ორბელაძე 46), გიგაური, აკობია, ჭელიძე (კანდელაკი 46), მახარაძე (ბაბუნაშვილი 46), ნერგაძე, ნავალოვსკი, ბობოხიძე, დვალიშვილი — ასეთი შემადგენლობით ითამაშა „დინამომ“ ეს მატჩი.

„შაფჰაუზენი“ პირველსავე წუთზე დაწინაურდა. ირაკლი ზოიძემ მასთან პირისპირ დარჩენილ ბუნიაკუს პირველი დარტყმით არ გაატანინა, მაგრამ ძელიდან ასხლეტილ ბურთს ისევ ფორვარდმა მიუსწრო და ცარიელ კარში გაიტანა. „დინამომ“ ოც წუთში გაათანაბრა: გიორგი ნავალოვსკის ჯარიმიდან ჩაწოდებულს ვლადიმერ დვალიშვილმა თავური ზუსტად შეაგება. 56-ე წუთზე კი ტოდესკუმ ასევე თავურით „შაფჰაუზენის“ გამარჯვებისა გაიტანა.

თბილისის „დინამო“ დღეს შაფჰაუზენში ერთხელაც ივარჯიშებს, ხვალ კი ფრანკფურტის გზას დაადგება, საიდანაც შინ დაბრუნდება.

კოტა ინასარიძე

ჟორდანიას სამი თვე ხუთშაბათს დამთავრდება

ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ვადა 7 ივლისს იწურება და ამ დღესვე სასამართლო გაიმართება.

მერაბ ჟორდანია გაფლანგვა-მითვისების ბრალდებით, თუ გახსოვთ, 7 აპრილს ფინანსურმა პოლიციამ დააკავა და იმ დღესვე სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ჟორდანიას მხარემ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქოში გაასაჩივრა, მაგრამ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. იქამდე კი მერაბ ჟორდანიას ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის თაობაზე განცხადება დაწერილი ჰქონდა.

რას უნდა ველოდოთ 7 ივლისის სასამართლოზე — ჟორდანიასთვის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებას თუ მის გათავისუფლებას? ამ კითხვაზე კომენტარს გამოძიებაც ერიდება და დაცვის მხარეც, თუმც აქა-იქ გაკვრით ამბობენ, საპროცესო შეთანხმება მოხდება და გარკვეული თანხის სანაცვლოდ მერაბ ჟორდანიას ციხის კარს გაუღებენო. ვნახოთ...

ძოგა ინასარიძე

მესხი და გოჩაშვილი: ბორჯომდალეულები

რიგში თბილისელები არიან



ვლადიმერ გოჩაშვილი ახალი სეზონიდან შობლური „ბორჯომისთვის“ დაარტყამს

სოსო ფრუიძის „ბორჯომი“ ტრანსფერებზე სერიოზულად მუშაობს. კლუბმა უმაღლეს ლიგაში პირველად შეაბიჯა, საქართველოს კვალობაზე ფინანსურადაც არ უჭირს და ერთი სიტყვით, მადაზეა მოსული.

გუშინ გუნდმა ორი გამოცდილი ფეხბურთელი შეიმატა: „თბილისიდან“ საყრდენი ნახევარმცველი მისელ მესხი და „ვიტ ჯორჯიადან“ შემტევი ვლადიმერ გოჩაშვილი. გოჩაშვილის ამბავი უცებ გადაწყდა, მესხთან კი ქართელებმა კარგა ხნის წინ დაიწყეს მოლაპარაკება. ასევე ოფიციალურად უკვე ბორჯომელები არიან კვიპროსზე ნათამაშევი ფორვარდი გიორგი ქორიძე, ექსქუთაისელი მცველები — გია მემარნიშვილი და დავით ბაქრაძე, მეკარეები — დავით მამარდაშვილი „ვიტ ჯორჯიადან“ და ზურაბ მამალაძე „დინამოდან“.

ფრუიძის გუნდში კიდევ ბევრი ფეხბურთელი ისინჯება. ბულგარული „ჩერნო მორედან“ წამოსულ კონსტანტინე დარსანიაზე უკვე გაუწყეთ, ასევე პოტენციური ბორჯომელია ყოფილი ბოლნისელი თავდამსხმელი გიორგი შენგელიაც. და კიდეც, სოსო ფრუიძემ გვითხრა, „თბილისიდან“ რამდენიმე მოთამაშის გადმოყვანას ვაპირებთო. სავარაუდოდ, მათ შორის არიან მცველები — გიორგი ფოფხაძე და ბესიკ მიქიაშვილი.

გუშინ „ბორჯომი“ ამხანაგურად ეთამაშა ასევე უმაღლესლიგელ სოხუმის „დინამოს“ და 0:1 წააგო.

ილია ნანოგაფშვილი

თბილისის აჩრდილიც იგებს

ბოლნისს კოკა გოლით შეემატა

ფეხბურთელებისგან დაცლილი „თბილისი“ გუშინ ამხანაგურად გაეჯიბრა ბოლნისის „სიონს“ და 4:3 მოუგო. თბილისელებს კვლავაც გოჩა თამაზაშვილი წვრთნის, შემადგენლობას კი ნუ იკითხავთ — შარშანდელი სეზონიდან თითებზე ჩამოსათვლელი ფეხბურთელებიღა შერჩა ამ სიმპაიურ გუნდს. ასე თუ ისე ცნობილებიდან „სიონის“ წინაღმდეგ თორნიკე აფციაურმა, გიორგი ლოლაძემ, ბექა ყლენტმა და გიორგი ფოფხაძემ ითამაშეს. როგორც ჩანს, არც რევაზ ვეწაძე აპირებს „თბილისში“ გაჩერებას, ხოლო გოჩა ხოჯავას და გოგი ფიფიას თურქული კლუბების ვარიანტები აქვთ. თბილისელთა მომავალი ამ დღეებში გადაწყდება. ალბათ, ახალ სეზონში გუნდი 16-17 წლის ჭაბუკებით გავა ფონს.

აქვე გუშინდელ მეგოლეებზეც ვთქვათ: „თბილისიდან“ ყლენტმა (2), აფციაურმა და რეზო ბარაბაძემ გაიტანეს, „სიონიდან“ კი ჯაბა დვალმა (2) და კოკა მიკუჩაძემ. მიკუჩაძე ახლახან გადავიდა „სიონში“, მას აზერბაიჯანულ „ლენქორანში“ სურდა ფეხის მოკიდება, თუმც ვერ მოახერხა. 24 წლის კოკამ გასული სეზონის პირველი ნახევარი „თბილისში“ გაატარა, მეორე ეტაპზე კი „კოლხეთში“ ითამაშა.

ილია ნანოგაფშვილი

მთლად ვერ წავიმარადონე

ლუიშ ფიგუმ შოთა არველაძე საქველმოქმედო მატჩისთვის რომ მიიწვია, ნინა „სარბიელშიც“ გაუწყეთ, გუშინ კი არველაძეს დავუკავშირდით პორტუგალიაში და ამ მატჩზე დავეკითხეთ...

— ფიგუ და რონალდო ყოველწლიურად მართავენ ამ საქველმოქმედო თამაშს. მატჩი პორტუგალიის საკურორტო ქალაქ ფაროში ჩატარდა და თორმეტი ათასამდე მაყურებელი დაესწრო, ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული.

— შენ რომელ გუნდში ითამაშე?

— ჩემს გუნდში იყვნენ მიატოვიჩი, ჯალმინია, კრისტიანო რონალდო, ალფონსო, ფრანი, კლებერსონი, ალან სმიტი... იქით კი ფიგუ, რონალდო, კოუტუ... 1:2 წავაგეთ, ორივე გოლი რონალდომ გაგვიტანა.

— მწვრთნელები ვინ იყვნენ?

— აქეთ ბობი რობსონი, იქით კარლუშ კეირუში.

— ალბათ, ძალიან სახალისო თამაში იყო...

— კი, ყველა ცდილობდა, რაიმე ორიგინალური გაეკეთებინა, რაღაც-რაღაცები მეც მოვახერხე, ერთხელ მარადონასავით ხელით მოვინდომე გოლის გატანა, მაგრამ ამჯერად მსაჯმა ყველაფერი დაინახა.

— რამდენი წუთი ითამაშე?

— პირველი 35 წუთი. მოკლედ, ყველაფრით კმაყოფილი დავრჩი, მატჩის შემდეგ ფიგუმ მადლობა გადამიხადა და მეც მადლობა ვუთხარი მიწვევისთვის.

— „ალკმარში“ სეზონისწინა შეკრება როდის გეწყება?

— პორტუგალიიდან დღესვე მივდივარ, შეკრება ახლავე, 4 ივლისს გვეწყება.

დავით თავართქილაძე

ფრაიმ შვეიცარიით დაიწყო, იაშვილმა 60 წუთით

სეზონისწინა მზადება ადრიანად დაიწყო მეორე ბუნდესლიგაში ჩაქვეითებულმა „ფრაიბურგმა“ და გასულ უქმეებზე პირველი საკონტროლო მატჩიც ითამაშა — შვეიცარიულ „სენტ გალენს“ ფრით გაეყარა — 1:1.

ფრაიბურგელებს რამდენიმე ფეხბურთელი დაშავებული ჰყავთ, ფოლკერ ფინკეს გუნდს განსაკუთრებით დაცვაში უჭირს — ბუბაქარ დიარა და ოთარ ხიზანეიშვილი ტრავმირებულნი არიან, ჩვენებური სულაც ოქტომბრამდე ვერ შეძლებს თამაშს.

„სენტ გალენს“ გოლი როდა ანტარმა გაუტანა 21-ე წუთზე, ხოლო გამთანაბრებელი შვეიცარიელებმა მატჩის ბოლო წუთზე შეაგდეს.

რაც შეეხება ალექსანდრე იაშვილს, ის სასტარტო შემადგენლობაში იყო და გამოკვეთილი ფორვარდის პოზიციაზე ითამაშა მე-60 წუთამდე, სანამ შეცვლიდნენ.

ნიკა ჯორჯაძე

გიგიაძემ კრივბასი გადაწყვიტა

ქართველ თავდამსხმელ ვასილ გიგიაძეს „ტავრიადან“ წასვლის მერე რომ ახალი კლუბის მოძებნა არ გაუჭირდებოდა, ეს ნაღდი იყო. ვასოს ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ და მარიუპოლის „ილიჩევეცი“ ეპატიჟებოდნენ, თუმცა ჩვენიანმა კრივოი როგის „კრივბასთან“ გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი.

„კრივბასი“ უკრაინის საშუალო დონის გუნდია, შარშანდელ სეზონში მეცხრე ადგილზე გავიდა. კრივოიროგელებმა გუშინვე კიდევ სამ ფეხბურთელს გაუფორმეს კონტრაქტი და ახალ სეზონში უეფას თასის საგზურს უმიზნებენ.

ილია ნანოგაფშვილი

შუშაკი შუკერის კლუბში



ბაბრი კეთილაძის ფოტო

თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი ივო შუშაკი ხორვატიული „ოსიეკის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. კლუბი, რომელშიც თავისი კარიერა დავორ შუკერმა დაიწყო, გასულ სეზონში მეცხრე ადგილზე გავიდა — „ოსიეკს“ არცთუ ურიგო ტრადიციები აქვს და, ცხადია, მოკრძალებული შედეგები კლუბის ხელმძღვანელებს არ აკმაყოფილებდათ.

„ოსიეკის“ პრეზიდენტმა ბრანიმირ გლავაშმა თქვა, შუშაკთან ერთად ახალი ეტაპი უნდა დავიწყოთო. შეგახსენებთ, ბატონმა ივომ თბილისის „დინამოს“ თანამეგობრობის თასი, შიდა სარბიელზე კი საქართველოს ჩემპიონობა და თასი მოაგებინა, სხვა არაერთი გამარჯვებაც აჩუქა ქართველ ქომაგებს, მაგრამ მათგან გამორჩეული, ცხადია, რუსეთის ნაკრების წაქცევა იყო.

შეგახსენებთ, „დინამოდან“ წასვლის შემდეგ შუშაკს არცერთ კლუბში არ უმუშავია.

ილია ნანოგაფშვილი

ქართული მიდი-მოდი

გუნდები	მოვიდნენ	წავიდნენ	სეზონისინა მატჩები
დინამო თბილისი	ნერგაძე (ტორპედო), მეგრელაძე (ტორპედო), სტურუა (ლოკომოტივი), ბობოხიძე (ლოკომოტივი), თოთლაძე (ბათუმი), ქემოკლიძე (თბილისი), *აკობია (კოლხეთი)*	კ. შალამბერიძე (ტორპედო), კაკალაძე (ტორპედო), ლ. ჭელიძე (კაუნასი, ლიტვა), ქუცურუა (სიონი), დვალი (სიონი), მარკოზაშვილი (სიონი), კვიტაიშვილი (კახეთი), შეყრილაძე (ლოკომოტივი), ჯამარაული (ანართოსისი, კვიპროსი), მამალაძე (ბორჯომი), კუნეგატო (?, ბრაზილია), რომერო (?, ბრაზილია), სილაგაძე (?), ჭიჭვეიშვილი (?)	ფორტკაინი (გერმანია) 5:1 ჰალბრონი (გერმანია) 5:0 რადოსფკლდი (გერმანია) 8:1 სენტ გალენი (შვეიცარია) 1:1 გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:0 შაფჰაუზენი (შვეიცარია) 1:2
ტორპედო ქუთაისი	კ. შალამბერიძე (დინამო), კაკალაძე (დინამო), კვეტენაძე (გუსარი, აზერბაიჯანი), ზ. ჩხეტიანი (ზესტაფონი)	ნერგაძე (დინამო), მეგრელაძე (დინამო), კოშკაძე (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (ბორჯომი), ბაქრაძე (ბორჯომი), მემარნიშვილი (ბორჯომი), *მერლანი (?), ბოლქვაძე (?)*	
თბილისი თბილისი		გრიშიკაშვილი (ბაკი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე (დინამო), მიქიაშვილი (ბორჯომი), გეწაძე (ბორჯომი), ლილუაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), *ლუის ცაკარიასი (მთავარი მწვრთნელი), მინ ჩოი (?), იაშვილი (რეინჯერსი, შოტლანდია), მესხი (ბორჯომი)*	სიონი 4:3
ლოკომოტივი თბილისი	შეყრილაძე (დინამო), საჯაია (უგუნდო), ფურთუხია (ზესტაფონი), გიზო შენგელია (კოლხეთი), სირაძე (ტრირი, გერმანია), ინოგოვი (?, უზბეკეთი)	ბობოხიძე (დინამო), სტურუა (დინამო), მანჩხავა (კაუნასი, ლიტვა), მძინარიშვილი (კახეთი), *გ. ონიანი (სკონტო, ლატვია)*	სიონი 6:1, ტირანა (ალბანეთი) 4:3
ზესტაფონი ზესტაფონი	კოშკაძე (ტორპედო), გუშარაშვილი (ბათუმი), *შ. ჯიქია (თბილისი), ფიფია (თბილისი), ლაფერაშვილი (ნიუნბერგი-მოყვ.)*	გუჩუა (სოხუმი), მამარდაშვილი (ბორჯომი), ფურთუხია (ლოკომოტივი), *ზირაქიშვილი (ინტერი, აზერბაიჯანი), ქვაჩახია (?), შავგულიძე (?), სომხიშვილი (?), ბესარაშვილი (?)*	
ვიტ ჯორჯია თბილისი	მუმლაძე (მთავარი მწვრთნელი), ჯანელიძე (მწვრთნელი)	მერებაშვილი (სიონი), ინნკირველი (კარვანი, აზერბაიჯანი), ჭურაძე (?), ვ. გოჩაშვილი (ბორჯომი)	ლომბარდ პაპა (უნგრეთი) 1:2, 0:1
დინამო ბათუმი	*წუწუნავა (ტორპედო)*	თოთლაძე (დინამო), ხმალაძე (სიონი), ჩოხელი (ბორჯომი), დარჩიძე (?), ბეგლარ თედორაძე (?), გუშარაშვილი (ზესტაფონი), სოღოლაშვილი (?), ჩოხელი (?), ხუჯაძე (?), ხომერიკი (?)	
სიონი ბოლნისი	ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), დვალი (დინამო), ქუცურუა (დინამო), ხმალაძე (ბათუმი), მარკოზაშვილი (დინამო), მერებაშვილი (ვიტ ჯორჯია), დ. ხანიშვილი (დილა), კ ხანიშვილი (დილა), კუკულაძე (გურია), დონდოლაძე (სპარტაკი), მიკუჩაძე (კოლხეთი)	რუსია (სოხუმი), უგრეხელიძე (სოხუმი), დათვაძე (?), ისიანი (კარიერა დაასრულა), სიდამონიძე (?), ვაშაკიძე (?), დოლიძე (?, ლატვია), ბ. შენგელია, ა. ლაბაძე (ორივე სოხუმი)	ლოკომოტივი 1:6, ბორჯომი 0:5, თბილისი 3:4
კოლხეთი ფოთი		კუნჭულია (კახეთი), გიზო შენგელია (ლოკომოტივი), ჯ. შალამბერიძე (სოხუმი), აკობია (დინამო), ბათიაშვილი (?), მიკუჩაძე (სიონი)	
დილა გორი	*ხაჩიძე (მთავარი მწვრთნელი)*	მამესნარაშვილი (მთავარი მწვრთნელი), თ. ილურიძე (ცხინვალი), მაისურაძე (ცხინვალი), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), გ. ჩიტაია (ცხინვალი), სულთანიშვილი (ცხინვალი), ლ. გოჩაშვილი (ცხინვალი), ხაჭაპურიძე (ცხინვალი), ლ. თურმანიძე (ცხინვალი), დ. ნადირაძე (ცხინვალი), რევაზიშვილი (ცხინვალი), ა. ლაბაძე (ცხინვალი), კ. ხანიშვილი (სიონი), დ. ხანიშვილი (სიონი)	
ამერი თბილისი	ტატანაშვილი (სპარტაკი), ნიკურაძე (კტპ, ფინეთი)	ზ. ჯელაძე (?), გ. ჯელაძე (?)	გაგრა 0:1
ბორჯომი ბორჯომი	მამალაძე (დინამო), მამარდაშვილი (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (ტორპედო), ბაქრაძე (ტორპედო), ჩიგოშვილი (?), ქორიძე (ოლიმპიაკოსი, კვიპროსი), დარსანია (ჩერნო მორე, ბულგარეთი), მიქიაშვილი (თბილისი), გეწაძე (თბილისი), მემარნიშვილი (ტორპედო), ჩოხელი (ბათუმი), *პაპიძე (უგუნდო), მესხი (თბილისი), ვ. გოჩაშვილი (ვიტ ჯორჯია)*	კვეკვესკირი (სოხუმი), *ლაბაძე (?), ვოლკოვი (?), ჯანაშია (?), ვარდიაშვილი (?), მუშკუდიანი (?), ნოზაძე (?), როსტიაშვილი (?), წიკნავაძე (?)*	სიონი 5:0, სოხუმი 0:1
დინამო სოხუმი	ჟორჟოლიანი (მთავარი მწვრთნელი), კვეკვესკირი (ბორჯომი), გუჩუა (ზესტაფონი), რუსია (სიონი), უგრეხელიძე (სიონი), ჯ. შალამბერიძე (კოლხეთი), *გადელია (უგუნდო), ჟვანია, ჯანგიძე (ორივე სპარტაკი), სეფიაშვილი (მერანი), ა. ლაბაძე, ბ. შენგელია (ორივე სიონი), ჩომახიძე (ჩიხურა)*		ბორჯომი 1:0
კახეთი თელავი	კვიტაიშვილი (დინამო), კუნჭულია (კოლხეთი), მძინარიშვილი (ლოკომოტივი),		
ცხინვალი ცხინვალი	მაისურაძე (დილა), თ. ილურიძე (დილა), სულთანიშვილი (დილა), ხაჭაპურიძე (დილა), ლ. თურმანიძე (დილა), დ. ნადირაძე (დილა), რევაზიშვილი (დილა), ბ. ჩიტაია (დილა), ა. ლაბაძე (დილა), გ. ჩიტაია (დილა), ლ. გოჩაშვილი (დილა), ნაყოფია (?)		
სპარტაკი თბილისი		ტატანაშვილი (ამერი), ლონდოლაძე (სიონი), ჯანგიძე, ჟვანია (ორივე სოხუმი)	

მუქი შრიფტით: გადაწყვეტილი ტრანსფერი, დიპ შრიფტით: თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი, დახრილი შრიფტით: საკვლევადო ტრანსფერი

ᲐᲑᲠᲐᲰᲝᲕᲘᲩᲗᲐ ᲢᲠᲔᲖᲔᲒᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲝ

37 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ: ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲘᲣᲕᲔ?

„ᲩᲔᲚᲡᲘᲗ“ დავიდ ტრეზეგეს სატრანსფერო ფასი გაამხილა

„ᲩᲔᲚᲡᲘ“ წვრილად რომ არ მუშაობს, არ გესწავლებათ და რაკი ასეა, ლონდონელთა მზერა ამ ჯერზე დავიდ ტრეზეგესკენაა მიპყრობილი. იუწყებიან, რომ რომან აბრამოვიჩი „იუვენტუსის“ ფრანგის სანაცვლოდ 37 მილიონ გირვანქას გამოდის.

ეს ამბავი თავად იტალიელებმაც დაადასტურეს. კერძოდ, ტურინელთა გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ თქვა, „ჩელსისგან“ წინადადება მივიღეთ და განვიხილავთო.

„კორიერე დელო სპორტი“ გვამცნობს, ფაბიო კაპელოს ტრეზეგე მართალია არ ეთმობა, მაგრამ ამხელა ფულის მიღების ცდუნებას „იუვენტუსმა“ ძნელად რომ გაუძლოსო. ისიც გავიხსენოთ, რომ გასული სეზონის ნაწილი ფრანგს ტრავმების გამო გაუცდა და ერთ ხანს ესპანური „ბარსელონაც“ ლამობდა მის ხელში ჩაგდებას.

ამ გარიგების სასარგებლოდ ის გარემოებაც მიგვანიშნებს, რომ „იუვენტუსს“ რომაელი ანტონიო კასანოს გადაბირება სურს, მაგრამ ეს საქმე 17 მილიონ გირვანქაზე ნაკლებ თანხად არასდიდებით გამოვა, ანუ „იუვენტუსს“ კასანოსთვის ფული სჭირდება.

მეორე მხრივ, „ჩელსის“, რა თქმა უნდა, შეუძლია „მილანში“ განათხოვრებული ერნან კრესპო დაიბრუნოს, მაგრამ ცნობილია, რომ არგენტინელს „მილანიდან“ წასვლის სურვილი არ აქვს და ამდენად ლონდონელებს უფრო მოტივირებული თავდამსხმელის მოყვანა უჩანთ.

— დიახ, „ჩელსი“ არ არის წინააღმდეგი, უკან რომ დამიბრუნოს — თქვა კრესპომ — მაგრამ ჩემს სურვილსაც თუ რამე მნიშვნელობა აქვს, ვიტყვი, რომ იტალიაში დარჩენა მინდა. სიმართლე გითხრათ, ასეთი ცუდი ზაფხული არასდროს მქონია. იმას ვგულისხმობ, რომ სრულ გაურკვევლობაში ვიმყოფები. ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგების მერე ერთადერთი სასიამოვნო ამბავი, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, დაოჯახებაა.

ბოლოს გავიხსენოთ, რომ „პარმას“, „ლაციოსა“ და „ინტერის“ ყოფილი ვარსკვლავი „ჩელსის“ 2003 წელს 16.8 მილიონი გირვანქა დაუჯდა, ახლა კი მისი ბედი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დავიდ ტრეზეგეს „იუვენტუსიდან“ „ჩელსიში“ შესაძლო გადასვლაზე.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ

ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲕᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐᲣᲓᲒᲐ

ᲡᲐᲘᲗ ᲒᲝᲒᲝ?

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲕᲘᲔᲠᲘ ᲪᲡᲙᲐ-ᲡᲐᲪ ᲡᲣᲠᲡ

ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲕᲘᲔᲠᲘᲛ „ინტერთან“ კონტრაქტი გაწყვიტა და თავისუფალ აგენტად იქცა. უფასო ვიერის კი, მსურველია რიგი რომ დაუდგებოდა, ეჭვი არავის შეგეპარებათ.

მსურველთა შორის გახლავთ მადრიდის „რეალიც“ და, როგორც მადრიდული „მარკა“ წერს, ვიერის აგენტმა სერჯო ბერტიმ და „რეალში“ ტრანსფერების გამგემ არიგო საკომ ამ თემაზე უკვე ისაუბრეს.

ვიერი 12 ივლისს 32 წლისა მოიყრება და მისი გადაბირება „ნიუკასლ იუნაიტედსაც“ სწადია, მაგრამ ამბობენ, იტალიელს გული „რეალისკენ“ მიუწევსო.

ხოლო თუ „რეალთან“ მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო, კიერი ეგებ თავის ყოფილ ესპანურ კლუბში, მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდეს. „ატლეტიკოში“ კიერი 1997-98 წლებში თამაშობდა.

ვიერის წაყვანის სურვილი გაამხილეს „სევილიამაც“ და პრემიერლიგურმა „ტოტენჰემმა“ და „ბოლტონმაც“.

ისიც კი თქვეს, კრისტიან ვიერის რომან აბრამოვიჩმა შეაპირა, მოსკოვის ცსკა-ში ხომ არ ითამაშებდიო. მოგეხსენებათ, აბრამოვიჩი მოსკოველთა ფაქტობრივი მფლობელიც გახლავთ.

ᲙᲝᲢᲔ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

ᲛᲘᲚᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲯᲘᲚᲐᲠᲓᲘᲜᲝ ᲒᲐᲪᲝᲪᲮᲚᲓᲐ

ᲓᲝᲠᲐᲡᲝ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲛᲘᲓᲓᲘᲡ



ალბერტო ჯილარდინოს ტრანსფერს საშველი ჯერაც არ დაადგა

„ᲞᲐᲠᲛᲐᲡ“ ფინანსური საქმეები უკან-უკან წავიდა და „ეგებ „მილანმა“ ნანატრი ტრანსფერი გაჩარხოს, ანუ 25 მილიონ ევროდ შეფასებული ალბერტო ჯილარდინო შეიძინოს.

ჯერ კიდევ ათი დღის წინ „პარმას“ სპონსორობაზე თითქმის დაყაბულებულმა შვეიცარიულმა კომპანიამ იტალიურ კლუბს ბოლოწამს უგანა და პარმელები რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ.

კომპანიის პატრონ გაეტანო ვალენცას უთქვამს, „პარმას“ თუ დავაფინანსებ, გუნდიდან არც ერთ ფეხბურთელს არ გავუშვებ, მითუმეტეს, ჯილარდინოსო.

„მათ უკვე მოასწრეს მეკარე სებასტიან ფრეის გაქირავება „ფიორენტინაში“ და ალბერტო ჯილარდინოსაც თუ შეელევიან, მაშინ პასუხიც თავად აგონ“ — განაცხადა ვალენცამ.

ერთ-ერთი იტალიური გაზეთის ცნობით, სპონსორის უარით გალაღებულ ლონდონის „ჩელსისაც“ გაუმზადებია ფული პარმელი მეგოლისთვის, მაგრამ ფეხბურთელს იტალიაში დარჩენა სურს, რაც „მილანში“ გადასვლას ნიშნავს. ჯილარდინოს აგენტმა კი აღნიშნა: „ყველაფერი მას შემდეგ გაირკვევა, როცა შვეიცარიული კომპანია საბოლოო სიტყვას იტყვის“.

ახალი ინფორმაციის თანახმად, „მილანი“ მზადაა, ფილიპო ინძაგის შეელიოს, ოღონდ კი ახალგაზრდა თავდამსხმელი მოიხელთოს. შეგახსენებთ, რომ პიპოს „პარმაში“ 1995-1996 წლებშიც უთამაშია და 15 მატჩში ოდენ ორი გოლი გაუტანია.

„მილანის“ ფრანგი ნახევარმცველი ვიკაშ დორასო თითქოს „ლიონში“ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ, მისივე თქმით, მომავალ კვირაში პსჟ-ს ფეხბურთელი გახდება.

„მილანელებმა ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს, თუმც საფრანგეთში დაბრუნება ვარჩიე — განაცხადა დორასომ, რომელმაც „შავ-წითელი“ მაისურით გასულ სეზონში არცთუ ბევრ მატჩში ითამაშა — პსჟ დიდი გუნდია და მათი სამომავლო გეგმა მომეწონა“.

ᲗᲐᲗᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ ᲛᲝᲔᲜᲐᲢᲠᲐ

ბერნარდო კორადი

ᲑᲔᲠᲜᲐᲠᲓᲝ ᲙᲝᲠᲐᲓᲘᲡ აგენტმა დაადასტურა, ჩემი კლიენტი ამ ზაფხულს სერია A-ს დაუბრუნდება და ვინძლო, „ფიორენტანა“ იყოს, მისი ხელში ჩაგდების მსურველთაგან ფავორიტიო.

მოგეხსენებათ, „ვალენსია“ კორადისთან ურთიერთობის გაგრძელების ინტერესს მაინცდამაინც არ იჩენს. მეტიც, კორადი არც ვალენსიელთა სეზონისწინა შეკრებაზე წასულა — თქვა ფეხბურთელის აგენტმა მორენო როვიმ და დასძინა — მას აქვს შეთავაზებები „ტორინოდან“ და „ლაციოდან“, მაგრამ ვფიქრობ, „ფიორენტინადან“ მიღებული წინადადება ყველაზე უფრო მისაღებია“.

თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ბერნარდო კორადი ერთადერთი ცენტრალური თავდამსხმელი არ არის, რომლის გადაბირებაზეც ფლორენციელები მუშაობენ. მაოთვის სასურველ ფეხბურთელთა სიაში ინტერესი კრისტიან ვიერი, უდინელი ვინჩენცო იაკინტა და პალერმოელები, ლუკა ტონი და კრისტიან ძაკარდო არიან.

თანხა, რომლის გადახდასაც ფლორენციელები კორადიში, ვიერიში ანაც იაკინტაში ყაბულს არიან, უცნობია. ერთადერთი რაც გაცხადდა, ის არის, რომ „ფიორემ“ „პალერმოს“ ტონის და ძაკარდოს წყვილში 10 მილიონი გირვანქა შესთავაზა.

და ისევ კორადის აგენტს მოვუსმინოთ: „არ მგონია, რომ „ტორინოს“ და „ლაციოს“ ფინანსური მდგომარეობა იმდენად სახარბიელო იყოს, რომ კორადი რომელიმე მათგანში გადასვლას დათანხმდეს. შეთავაზება „სევილიასგანაც“ გვაქვს, მაგრამ კორადის იტალიაში დაბრუნება ურჩევნია.“

ᲙᲝᲢᲔ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

ჯერარდი ლივერპულის ჩიხში
ზენდენი ეფფილდზე

სტივენ ჯერარდი

ბრიტანული მედია „ლივერპულიდან“ სტივენ ჯერარდის შესაძლო წასვლაზე ალაპარაკდა. ჩემპიონთა თასის მფლობელმა „წითლების“ კაპიტანმა კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკება გასულ კვირაში დაიწყო, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. გაზეთების ცნობით, ჯერარდს თითქოს უთქვამს, რომ მადრიდის „რეალში“ გადასვლაზე ვფიქრობ და ჩემი გაყიდვით გვარიან ფულსაც იშოვითო. ჯერარდის სატრანსფერო ფასი კი სავარაუდოდ, 54 მილიონი დოლარია, მადრიდელთა გარდა, ლონდონის „ჩელსის“ პატრონი რომან აბრამოვიჩიც ჩასაფრებულია თავის სქელი ქისით.

„ლივერპულის“ პრესმდივანმა იან კოტონმა კი განაცხადა: „ჩვენი პოზიცია გარკვეულია. სტივენ ჯერარდის გაშვება არ გვსურს“.

ცნობილი გახდა ისიც, რომ „ლივერპულის“ აღმასრულებელი დირექტორი რიკ პერი ნაწყენია სტივენ ჯერარდზე და მის აგენტზე, რადგან ახალი კონტრაქტი დირექტორისთვის სასურველ დროში ვერ მოგვარდა.

ამასობაში, ლივერპულელებმა ერთი ტრანსფერი უკვე გაჩარხეს — „მიდლსბროს“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი ბუდევინ ზენდენი დღეს რაფაელ ბენიტესის შეგირდი გახდება. 28 წლის ჰოლანდიელს „ბოროსთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და, როგორც თავისუფალი აგენტი, ლივერპულელებს მუქთად ერგო.

შეგახსენებთ, რომ ზენდენმა კარიერა „პსვ ეინდჰოვენში“ დაიწყო და იქიდან „ბარსელონაში“ გადავიდა. შემდეგ, 2001 წელს „ჩელსიმ“ 14 მილიონ დოლარად შეიძინა, საიდანაც შარშან „მიდლსბროში“ აღმოჩნდა.

ვაჟა ხუციშვილი

უეინ რუნი ალექს ფერგიუსონის გუნდში მთავარი ფეხბურთელია

გლეიზერის გარანტია
რუნი არ იყიდება!

„მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ გილმა განაცხადა: „უეინ რუნი არ იყიდება. 18 წლის ფორვარდი სერ ალექს ფერგიუსონისთვის მთავარი ფეხბურთელია და მისი წასვლა გამორიცხულია. შარშან დიდხანს ვიწვალეთ, რომ „ევერტონისგან“ რუნი გვეყიდა და მისი თამაშით კმაყოფილები ვართ. ამ მეგოლეზე ამბობენ, გუნდიდან მიდისო, მაგრამ ეს არ მოხდება. კლუბის ახალი პატრონი მალკოლმ გლეიზერი შეგვპირდა, რომ ფულს არ დაზოგავს, რათა გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდეს. ამის დასამტკიცებლად ჩვენ კრისტიანო რონალდოსთან ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს გავაფორმებთ და რიო ფერდინანდიც „იუნაიტედში“ დარჩება.

ვაჟა ხუციშვილი

კაჭკაჭურები
ბელამის ეხვეწებიან, რობერს აფრთხილებენ

კრეიგ ბელამის „სელტიკის“ მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი დარჩენას თხოვს

„ნიუკასლიდან“ გაძევებული, „სელტიკში“ ერთი წლით განათხოვრებული კრეიგ ბელამის შეძენას გლაზგოელთა ახალ მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი ეშურება.

„ბელამი უნდა მოვიდეს და ახალ გარიგებაზე ვისაუბროთ. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ფიქრობს ფეხბურთელი. თუ მას სურს ითამაშოს გუნდში, რომელსაც მდიდარი ისტორია აქვს და ჩემპიონთა ლიგა ელის, მაშინ ჩვენთან დარჩეს“.

ნიუკასლელებმა უკვე ამცნეს „სელტიკს“, რომ კიდევ ერთი წლით განათხოვრება გამორიცხულია, კრეიგ ბელამის სატრანსფერო ფასი კი 5 მილიონი გირვანქაა.

„მართალია, თვითონ ფეხბურთელს „ნიუკასლში“ დაბრუნება სწადია, მაგრამ „სელტიკი“ თავისას მაინც ეცდება, რადგან ბიუჯეტი ამის საშუალებას გვაძლევს“.

ბუქმეიქერთა კანტორაში კი უკვე ფსონებს იღებენ, რომ „ნიუკასლის“ თავკაცი გრემ სუნესი პირველი პრემიერლიგელი მწვრთნელი გახდება, რომელსაც სეზონის დასაწყისში გაათავისუფლებენ.

ბოლოს ისევ ყოფილ ნიუკასლელზე, ლორან რობერზე გეტყვით, სუნესზე განაწყენებული ფრანგი „პორტსმუთში“ ერთი წლით გადავიდა და იქიდან გამოლანძღა მწვრთნელი, რისთვისაც „ნიუკასლმა“ ფულის დაქვითვით დააჯარიმა. პორტსმუთელთა თავკაცს კი უთქვამს, გრემ სუნესის ლანძღვას მოეშვას და ფეხბურთზე იფიქროსო.

ვაჟა ხუციშვილი

როდრიგო ტადეომ „რომაში“ შესაძლოა, ვერ ითამაშოს

რომა ძალიან ჩაიხლართა

ცუდი ამბავი „რომასთვის“ — უკვე შეძენილი ფეხბურთელების ტრანსფერი შესაძლოა, გაუქმდეს. გავიხსენოთ, რომ გასულ კვირას ფიფამ რომაულ კლუბს მოთამაშეათა შეძენა-გაყიდვა აურძალა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ შარშან იტალიის დედაქალაქის გუნდმა „ოსერს“ ფილიპ მექსეშის სანაცვლოდ ფული არ გადაუხადა. ფრანგებმა იჩივლეს და სამართალს პური აჭამეს — რომას“ დაევალა, „ოსერს“ თაგხა გადაუხადოს, რასაც იტალიელები არ ეთანხმებიან. ფიფამ სწორედ ამიტომაც დასაჯა იტალიელები.

ახლა კი რა ხდება, რომაელებმა უკვე მოასწრეს როდრიგო ტადეის, სამუელ კუფურისა და შაბანი ნონდას გადაყვანა, მაგრამ გამორიცხული არაა, გუნდს ამ ფეხბურთელების თამაშის უფლებაც არ მისცენ, რაკი სეზონი ჯერ არ დაწყებულა.

რა თქმა უნდა, „რომამ“ საარბიტრაჟო სასამართლოში იჩივლა და ფიფას გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მაგრამ ეს საქმე ჯერ არ გარჩეულა. გარდა იმისა, რომ ფეხბურთელებს ვერ იყიდიან, რომაელები ვერც გაყიდიან, რაც ფინანსურად მნიშვნელოვნად აზარალებთ. ანტონიო კასანოსა და ამანტინო მანსინის გადაბირება ხომ რამდენიმე კლუბს სურდა. ამ საქმეში გაეხლართა მადრიდის „რეალიც“ რომელიც რობინიოს ვერშეძენის შემთხვევაში ანტონიო კასანოს ყიდვას ეშურებოდა.

ამასობაში ტურინის „იუვენტუსმა“ თავი წამოყო, პატრიკ ვიეირა და რობერ პირესი მინდაო. ლონდონის „არსენალმა“ პირესთან ახალ კონტრაქტზე შეთანხმებას ჯერ ვერ მიაღწია და ბოლომდე ვიეირას საქმეც არაა გარკვეული, მიუხედავად იმისა, რომ არსენ ვენგერი ცდილობს, ორივე ფრანგი დაიტოვოს. „იუვეს“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ ადრევე განაცხადა, ვიეირას სანაცვლოდ 17 მილიონი ევროს გადამხდელები ვართო.

ვაჟა ხუციშვილი

სამსაათიანი ვაჭრობა სანტოსში
რობინიომ შვებულება ითხოვა

მადრიდის „რეალთან“ თვითნებური საუბრის შემდეგ სანტოსელი რობინიო ბრაზილიური კლუბის პრეზიდენტმა მარსელო ტეიშეირამ დაიბარა. პრეზიდენტი, ფეხბურთელი და მისი აგენტი დასხდნენ, სამი საათის განმავლობაში ილაქლაქეს, მაგრამ ვერაფერი გაარკვიეს. რობინიოს წასვლა უნდა, „სანტოსს“ კი — ფორვარდის დატოვება. სანტოსელები 50 მილიონ დოლარს ითხოვენ, ხოლო „რეალი“ 30 მილიონს სავაზობთ.

სამსაათიანი საუბრის შემდეგ გაირკვა, რომ რობინიომ და მისმა აგენტმა ეგებ ფიფაშიც კი იჩივლონ, რათა ფეხბურთელმა ესპანეთში გადასვლის უფლება მოიპოვოს.

ბრაზილიელი მეგოლის აგენტი ვაგნერ რიბეირო: „რობინიო პატივს სცემს „სანტოსს“, ის პროფესიონალია, მაგრამ ცოტა ხნით დასვენება სჭირდება“.

სანტოსელთა გენერალურმა მენეჯერმა ლუის ერნანდეს დე მენეზესმა კი თქვა: „რობინიოს ჩვენთან კონტრაქტი აქვს და ამ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ველაპარაკეთ, მაგრამ თუ ვინმე 50 მილიონ დოლარს გადაიხდის, მაშინ შეუძლია, წავიდეს“.


„სანტოსი“ რობინიოს ვერ ელევა

ვაჟა ხუციშვილი

ნავთობში გამდნარი სასუქი

გაზიანი ქეიფი საპრესკონფერენციო დარბაზში

რუსეთი

პრემიერლიგა. XIV ტური

ცსკა 2:0 დინამო
1:0 დუდუ (15), 2:0 ოლიჩი (173)

კრილია 1:1 როსტოვი
1:0 ბულიგა (63), 1:1 ალხაზოვი (79)

ზენიტი 5:1 ამკარი
1:0 არშავინი (15), 1:1 გორშკოვი (31ს.კ.), 2:1 არშავინი (38), 3:1 შირლი (41), 4:1 არშავინი (46), 5:1 კოჟანოვი (90)

ტორპედო 1:1 რუბინი
0:1 ბუიტკუსი (26), 1:1 სტეფანოვი (31)

შინიკი 0:1 მოსკოვი
0:1 კუზმინი (48)

სატურნი 1:1 სპარტაკი
1:0 ხარიტონოვი (38), 1:1 პავლიუჩენკო (56)

ტომი 0:0 ალანია

ალანია: რადიჩი, აგაევი, ჟუტაუტასი, პაგაევი, გ. ბაზაევი, ჯ. ბაზაევი, **დარასელია, კანანავა, შაშიაშვილი,** გოგნიევი (კ. ტუდორი 64), დადუ (ოკორონკვო 80)

ლოკომოტივი 4:0 ტერეკი
1:0 ბილიალეტდინოვი (38), 2:0 ევსეევი (42პ), 3:0 ასათიანი (50), 4:0 სიჩოვი (69)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, პაშინინი, **ასათიანი** (ბიკეი 72), ევსეევი, სენიკოვი, გურენკო, მამინოვი, ხოხლოვი (ომელიანჩუკი 78), ბილიალეტდინოვი (კრუგლოვი 54), სიჩოვი, ლებედენკო

ცსკა-მ მოუგო მოსკოვის „დინამოს“, მაგრამ მატჩი კინაღამ კიკბოქსინში გადაიზარდა. გარდა იმისა, რომ ეს დედაქალაქური დერბი იყო, რომან აბრამოვიჩის ნავთობი ფედორიჩევის სასუქს „ეთამაშებოდა“. ცსკა-ს აბრამოვიჩის ფული პატრონობს, „დინამოს“ კი — ფედოროვიჩისა, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს და „მონაკოს“ სპონსორიც გახლავთ.

უკვე ზედიზედ მეხუთე მატჩია, „დინამოს“ არმიელებისთვის არ მოუგია და წააგო. მეთხუთმეტე წუთზე საჯარიმოში ჩაფრენილ ბურთს დუდუმ საგოლედ უთავაზა და ანგარიში გახსნა, „მესასუქეები“ სანამ გონზე მოვიდოდნენ, ოლიჩმა თავისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა. სერბი ფორვარდი ჩემპიონატის საუკეთესო მეპენალტეა და აქაც უბადლოდ შეასრულა.

ამის მერე დაიწყო ლეწვა-მტვრევა. ფეხბურთელებმა ერთმანეთი არ დაინდეს და აშკარა უხეშობაზე გადავიდნენ. „დინამოს“ რიბეირუმ“ დუდუს ფეხი ჩაარტყა, შურისძიება კი ცსკა-ს ვაგნერ ლავმა იკისრა და მსაჯმა მხოლოდ გვერდითი არბიტრების დახმარებით შეძლო მოთამაშეთა გაშველება.

ვაგნერ ლავმა თავი კიდევ იმით გამოიჩინა, მეორე ტაიმში ოთხი ასპროცენტიანი მომენტი გაანიავა — მაინცდამაინც ბურთიანად კარში შესვლა უნდოდა, მაგრამ ბერეზოვსკის ვერ ავჯობა. თავის მხრივ „დინამოსაც“ ჰქონდა ხელსაყრელი ეპიზოდები, თუმც ცსკა-ს მეკარემაც რამდენჯერმე იყოჩაღა.

სანკტ პეტერბურგში მასპინძელმა ანდრეი არშავინმა „ამკართან“ ჰეთ თრიქი შეასრულა და ზეიმი მოიწყო. „ზენიტმა“ სულ ექვსი გოლი შეაგდო, აქედან ხუთი მეტოქის, ერთი კი საკუთარ კარში. არშავინს პირველი სიხარული გორშკოვმა ჩაამწარა, რაკი ბურთი თავის მეკარეს გაუტანა. მიუხედავად ამისა, შესვენებამდე არშავინმა ორი, შირლმა კი ერთი გოლი მიითვალეს და „ზენიტი“ სამბურთიანი სხვაობით დაწინაურდა. პერმელთა რბევა შეცვლაზე შესულმა კოჟანოვმა შეხვედრის ბოლო წუთზე დაასრულა.

უდიდესი სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, მოსკოვის „სპარტაკმა“ რამენსკოეში „სატურნს“ ვერ მოუგო. მასპინძელმა ხარიტონოვმა პირველი ტაიმის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე საუცხოო გოლი გაიტანა — საჯარიმოს ხაზთან ზურგით მდგომი ხარიტონოვი უცბად შებრუნდა კარისკენ და იუველირული სიზუსტით ბურთი ზუევისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში ჩასვა.

შესვენების შემდეგ, ისევე როგორც მანამდე, „სპარტაკის“ ფორვარდებმა ბევრი მომენტი ჩააფლავეს და მხოლოდ რომან პავლიუჩენკომ შეძლო ზუსტად დარტყმა და ანგარიში გაათანაბრა.

ნამატჩევს საპრესკონფერენციო დარბაზში „სპარტაკის“ გალეშილი ქომაგები შეცვივდნენ და იქაურობა გინებით აიკლეს. მწვრთნელების მისვლამდე ჟურნალისტებს „მატ ტვაიუ“-თი ტკბილად ესაუბრნენ და მათგან ორმა განაცხადა, ნებისმიერ გუნდს გასვლით მატჩებზე გავყვებით თუ დაგვაფინანსებენო. მერე მწვრთნელის კუთვნილი მინერალური წყალი დალიეს და დარბაზიდან გავიდნენ.

სამარის „კრილია სოვეტოვმა“ ახალი პატრონი, გაზის კომპანია „იტერა“ უკვე იშოვა, მაგრამ ჯერჯერობით ფულის ნაკლებობას განიცდის. სანამ თანხა გაჩნდება, „კრილია“ კვლავაც ვერ თამაშობს კარგად და მაჩანჩალა „როსტოვთან“ ოდენ ფრეს დასჯერდა. გუნდებმა მეორე ტაიმში თითო გოლი გაცვალეს და ქულები გაიყვეს. აღსანიშნავია როსტოველთა გამთანაბრებელი გოლი — მეკარე ანიუკოვმა ცემილეს მიაწოდა ბურთი, რომელმაც თავით დაუგდო ალხაზოვს და მანაც თხუთმეტი მეტრიდან „ცხრიანში“ ააფართხალა ბურთი,

ციმბირში „ტომმა“ „ალანიას“ ვერ გაუტანა, თუმც მასპინძელ მედვედევს 41-ე წუთზე ასპროცენტიანი შანსი ჰქონდა — მისი დარტყმული პენალტი ვლადიკავკაზელმა რადიჩმა მოიგერია.

ვაჟა ხუციშვილი

ლოკომოტივი	16	9	7	0	24:3	34
სპარტაკი	14	7	4	3	25:14	25
ცსკა	12	7	3	2	20:5	24
ზენიტი	15	6	5	4	24:15	23
მოსკოვი	13	6	5	2	14:6	23
რუბინი	14	6	5	3	17:15	23
კრილია	15	4	7	4	14:17	19
დინამო	14	6	1	7	14:22	19
ტორპედო	13	4	5	4	15:11	17
სატურნი	14	4	4	6	10:10	16
შინიკი	14	3	7	4	10:12	16
ამკარი	14	2	8	4	11:19	14
ალანია	14	3	4	7	9:21	13
ტომი	14	2	6	6	8:15	12
როსტოვი	14	2	4	8	8:22	10
ტერეკი	14	2	3	9	8:24	9

სპარტაკელმა რომან პავლიუჩენკომ (№20) მასპინძლებს მეორე ტაიმში გაუთანაბრა



ეჭტორ რაულ კუპერი გეორგიოს კარაგუნისს „ინტერიდან“ იცნობს

ისევ რომ არ გამეორდეს

კუპერი კარაგუნისს ძმაკაცურად თუ გადაიყვანს

მოგეხსენებათ, რომ „მალიორკა“ გასულ სეზონში ძლივს გადაურჩა პრიმერადივიზიონიდან გავარდნას და რა გასაკვირია, კლუბის უფროსობა — მომავალში იგივე რომ აღარ მოხდეს — გუნდის გაძლიერებას ლამობს.

ამ საქმეში კი მთავარი სიტყვა, რა თქმა უნდა, მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერს ეკუთვნის, ვინაც თავის დროზე „მალიორკას“ სამეფო თასი მოაგებინა, მერე კი „ვალენსია“ გაიყვანა მიჯრით ორჯერ ჩეპიონთა ლიგის ფინალში.

კუპერი თვლის, რომ კუნძულელთა გაძლიერებისთვის მისწრება იქნება ბერძენი გიორგიოს კარაგუნისის შეძენა. კარაგუნისი ახლა „ინტერში“ თამაშობს და კუპერი მას კარგად იცნობს, რაკიღა თავადაც წვრთნიდა ერთხანს მილანურ გუნდს.

საერთოდაც, ბერძენი ნახევარმცველი 2003 წლის ზაფხულში „ინტერმა“ სწორედ რომ კუპერის მოთხოვნით იყიდა, თუმც ამ შეძენიდან რამოდენიმე თვეში კუპერი „ნეროაძურიდან“ დაითხოვეს.

თავად კარაგუნისი კი ვერ ვიტყვით, დიდად კმაყოფილია ინტერული ხვედრითო. მას არც ალბერტო ძაკერონი წყალობდა და არც გუნდის ახლანდელი თავკაცი რობერტო მანჩინი წყალობს დიდად. იმასაც ამბობენ, ბერძენის მზერა ინგლისიკენ არის მიპყრობილი და ბარე ორი პრემიერლიგული გუნდი ისურვებდა თავისთან წაყვანასო.

ესპანური „მარკა“ კი იუწყება, კუპერი „ინტერის“ პატრონთან“, მასიმო მორატისთან ძველი ძმაკაცობით ისარგებლებს და კარაგუნისის ხელსაყრელი პირობებით დათმობას სთხოვსო — თუკი ასეთ საქმეებში ძმაკაცობას დიდი გასავალი აქვს.

კოტე კეკელია

ინტერტოტოს თასი 2005

მეორე ეტაპი. პირველი მატჩები

ვოლფსბურგი (გერმანია)	2:2	შტურმი (ავსტრია)
კლუჟი (რუმინეთი)	1:0	ბილბაო (ესპანეთი)
სლავენი (ხორვატია)	3:2	გლორია (რუმინეთი)
ჰამბურგი (გერმანია)	4:1	პობედა (მაკედონია)
გენტი (ბელგია)	1:0	ზლინი (ჩეხეთი)
ლიბერეცი (ჩეხეთი)	5:1	ბეითარი (ისრაელი)
სიგმა (ჩეხეთი)	1:0	პოგონი (პოლონეთი)
ანკარა (თურქეთი)	0:4	დუბნიცა (სლოვაკეთი)
ლოკერენი (ბელგია)	1:4	იანგ ბოისი (შვეიცარია)
სენტ ეტიენი (საფრანგეთი)	1:1	ქსამაქსი (შვეიცარია)
ვარტექსი (ხორვატია)	4:3	ინტერი (ფინეთი)
დეპორტივო (ესპანეთი)	3:0	ბუდუჩნოსტი (სერბეთი)
ჟალგირისი (ლიტვა)	2:0	დინაბურგი (ლატვია)
ლანსი (საფრანგეთი)	2:1	ლეხი (პოლონეთი)
ლომბარდ პაპა (უნგრეთი)	2:3	გიოტებორგი (შვედეთი)
ტამპერე (ფინეთი)	1:0	შარლერუა (ბელგია)

მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი

ვიდეონიდან. 10 ივნისი — 2 ივლისი

ოქროსმედალი

არგენტინამ მართველები შესანსლა

ფინალი

არგენტინა 2:1 ნიგერია

1:0 მესი (40ბ), 1:1 ოგბუკე (53), 2:1 მესი (75ბ)

არგენტინა: უსტარი, ფორმისა, ბარესო, ტორესი, პალეტა, საბალეტა, გარაი, არკუბი (არმენტეროსი 61), გაგო (ბილია 72), მესი, ობერმანი (აგუერო 57)

მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო

ნიგერია: ვანზეკინი, ტაიფუ, ჯეიმსი, ოგბუკე, მიკელი, ისააკი, ადეფემი, აბეო (ოკორენკვო 85), ადელი, კიტა, ოფორი

მწვრთნელი: სამსონ სიასია

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

24 500 მაყურებელი

არგენტინამ 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი მეხუთედ მოიგო, ხოლო 18 წლის ლეო მესი ექვსი გოლით ბომბარდირი გახდა — „ბარსელონას" ყმაწვილფორვარდმა მთელი ტურნირის განმავლობაში ბრწყინვალედ ითამაშა და ფინალში მაღლს მარილი მოაყარა, ორი პენალტი გაიტანა, რისთვისაც მან „ადიდასის ოქროს ბუცი" დაიმსახურა. ვეცხლისა, ესპანელ ფერნანდო ლორენტეს ერგო (5 გოლი, ორი საგოლე პასი), რომელიც ბილბაოს „ატლეტიკში" თამაშობს, ხოლო „ბრინჯაოს ბუცი" — უკრაინელ ალექსანდრ ალიევს.

ჟურნალისტების გამოკითხვით საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ანუ „ოქროს ბურთიც" ლეო მესის გადაეცა, ვერცხლისა და ბრინჯაოსი კი ნიგერიელებს — ჯონ ობი მიკელს და ტაი ტაივუს.

ახალგაზრდული ჩემპიონატი აფრიკულ გუნდს არასოდეს მოეგო. ნიგერიას ნავსის გატეხვის შანსი ჰქონდა, მაგრამ „სუპერმართველებმა" მესისთან ვერაფერი გააწყვეს, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო მეტოქეს კიდეც სჯობნიდნენ.

„ეს გამარჯვება სრულიად არგენტინას გაახარებს, ლეო მესიმ კი პირადი ტრიუმფი მოიწყო. მან ყველა ჯილდო დაიმსახურა" — განაცხადა „მოოქროვილთა" მწვრთნელმა ფრანსისკო ფერარომ.

ორივე გუნდს ცენტრალური მცველი აკლდა. სამხრეთამერიკელებს გუსტავო კაბრალი ჰყავდათ დისკვალიფიცირებული, აფრიკელებს კი — ონიეკაჩი აპამი. გაუჩოებს ერთ-ერთი ფორვარდი ნერი კარდოზოც დაკლდათ ზედმეტი ყვითელი ბარათის გამო, მაგრამ სანაცვლოდ შეტევის მეტი საშუალება მიეცა მესის, რომელსაც ნიგერიელთა მცველი ფეხდაფეხ დაჰყვებოდა.

ნახევარფინალში მაროკოელთა 3:0 დამარცხების შემდეგ, სამსონ სიასის შეგირდებმა თამაშის დასაწყისში არგენტინა მისსავე ნახევარზე მიჭეჭყეს, ხოლო დელე ადელის მეოცე წუთზე ანგარიშის გახსნაც შეეძლო, ოდნავ ზუსტი რომ ყოფილიყო.

ეს ფინალი ლეო მესისა და „ვერცხლოსანი" ჯონ ობი მიკელეს პირად დუელადაც კი მონათლეს და უნდა ითქვას, რომ ნიგერიელი თავიდან უკეთესად გამოიყურებოდა. მოედნის ცენტრში ბურთს იოლად ათვინიერებდა და პასებსაც არიგებდა. სამწუხაროდ, მიკელს თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს.

ადელის მომენტის შემდეგ მეტოქეებმა თითო დარტყმა გაცვალეს და ორივე მეკარემ ყოჩაღად ითამაშა. პირველი ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი მესიმ პენალტი „მოინადირა" და თვითონვე უბადლოდ შეასრულა — 1:0. ნიგერიელებს უმალ შეეძლოთ გათანაბრება, თუმც ჯონ ოვოერიმ ისააკ პრომისის გონივრული პასი ვერ გამოიყენა.

მეორე ნახევრის დაწყებიდან რვა წუთში აფრიკელებმა მაინც გაქვითეს — ოლიბაიო ადეფემის ჩაწოდებულ ბურთს ჩინედუ ოგბუკე საჯარიმოში დაუხვდა და ოსკარ უსტარის კარის ბადეში შეაბრძანა.

გალაღებულმა ნიგერიელებმა უფრო მძლავრად შეუტიეს. ერთ ეპიზოდში აფრიკელთა ქომაგები სკამებიდანაც კი წამოხტნენ უეჭველი გოლის მოლოდინში, მაგრამ პრომის ისააკმა ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა არგენტინელმა სერხიო აგუერომ გუნდის იერიშებს ფხა შემატა და შრომა პენალტით დაუფასდა. საპენალტე ნიშნულთან კვლავ ლეო მესი მივიდა 2:1.

ნამატჩევს „სუპერმართველების" მწვრთნელმა სამსონ სიასიამ დაიჩივლა: „ჩვენი მარცხის მიზეზი ორი სრულიად უაზრო შეცდომაა. არგენტინელები თამაშ-თამაშ გოლს ალბათ ვერ გაგვიტანდნენ".

ნიგერიელებისთვის მარცხი მით უფრო საწყენი იყო, რომ 1989 წლის ფინალიც წააგეს. თუმც ვინ წარმოიდგენდა, რომ სიასიას გუნდი ასე ივლიდა. ფინალამდე მათ მეოთხედფინალში თვით მასპინძელი ჰოლანდიელები დააჩოქეს და აფრიკელთა მწვრთნელი ყოველი გამარჯვების შემდეგ ამბობდა, თავი სიზმარში მგონიაო. ეს ტკბილი სიზმარი უტრეხტში არგენტინამ და ლეო მესიმ დაასრულეს.

ვაჟა ხუციშვილი

ედკარლოსის თავი და ბოლო

მატჩი მე-3 ადგილისთვის

ბრაზილია 2:1 მაროკო

0:1 ედკარლოსი (47ს.კ.), 1:1 ფაბიო სანტოსი (88), 2:1 ედკარლოსი (90)

მესამე ადგილისთვის მატჩი უცნაური გამოვიდა იმ მხრივ, რომ ბრაზილიელთა მეკარეს მხოლოდ ერთხელ მოუწია მაროკოელთა დარტყმის მოგერიება, ხოლო უიღბლო ედკარლოსმა მეორე ტაიმის დასაწყისში ბურთი საკუთარ კარში გაიტანა.

სამხრეთამერიკელებმა თექვსმეტჯერ „გაისროლეს" მოჰამედ ბურვადის კარისკენ და აქედან ბოლო ორი, თამაშის მიწურულს, ზუსტი აღმოჩნდა. სწორედ ამ გოლების წყალობით იმარჯვა ბრაზილიამ და ყელზე ბრინჯაო ჩამოიკიდა.

მაროკოელთა მწვრთნელმა ნახევარფინალში ნიგერიასთან მარცხის შემდეგ თქვა, ბიჭებმა ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გაუძლეს და შეშინდნენ, საბრაზილიოდ სათანადოდ ვერ მოვამზადეო.

არაბებმა თამაში უკეთ დაიწყეს და მათგან ორი კაცი — ნაბილ ელ ზაჰრი და ტარიკ ბენდამუ — გამორჩეულ მეტოქეს აწუხებდნენ, მოკლე პასებით იოლად აღწევდნენ საჯარიმომდე, თუმც საბოლოო პასში მოიკოჭლებდნენ. მეათე წუთზე ადილჩიმ იყოჩაღა და კარგადაც ჩააწოდა მოწინააღმდეგის კარის წინ, მაგრამ ჩაწოდებულზე ფორვარდებმა დაიგვიანეს. მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს შეძლეს ბრაზილიელებმა პირველი სახიფათო მომენტის შექმნა, რომელიც არუკას არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

შესვენებამდე წამები რჩებოდა, როცა ადილ ჰერმაჩიმ თექვსმეტიოდ მეტრიდან დაჰკრა, ბურთი გზად ედკარლოსს შეეხო და რენანის კარში გეზნაცვალი შევარდა.

ბრაზილიას გოლი უნდოდა და, ცხადია, მეორე ტაიმის დაწყებამდე შეუტია. მოჰამედ ბურკადმა ჯერ დიეგო ტარდელის დარტყმა უკუაგდო, შემდეგ კი ორჯერ უიღბლო ედკარლოს შეეძლო გატანა. პირველად მეკარემ იყოჩაღა, ხოლო მეორედ ძელი შეატოკა. ამის მერე კვლავ ტარდელი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ კარს ააცილა.

ამდენმა იერიშებმა საბოლოოდ შედეგი მაინც მოიტანა. მაროკოელებს იასინ ზუჩუ გაუძევეს და მოწინააღმდეგის კაცნაკლულობით ბრაზილიამ უმალ ისარგებლა. რაფაელმა საჯარიმო შეასრულა, მოჰამედ ბურკადი უშნოდ გამოვარდა კარიდან და ამით ფაბიო სანტოსმა იხერია — 1:1. აქ უკვე დამატებითი დროის პერსპექტივა გაჩნდა, მაგრამ ბრაზილიელებმა ეს არ ისურვეს. საკუთარ კარში გოლის გამტანმა ედკარლოსმა შეხვედრის ბოლოწამს ბურთს უთავაზა და თავისი შეცდომა „ბრინჯაოს გოლით" გამოასწორა.

„პირველ ტაიმში ნაღდად ცუდად ვითამაშეთ — თქვა ნამატჩევს ბრაზილელთა თავკაცმა რენე ვებერმა — მაგრამ შესვენებისას ფეხბურთელები შევახურე, ჩვენ ხომ ჩემპიონობა დავკარგეთ და ამიტომ მესამე ადგილი მაინც უნდა აგვეღო". შეგახსენებთ, რომ წინა ტურნირი სწორედ ბრაზილიამ მოიგო.

რაც შეეხება მარაკოელებს, მათმა მწვრთნელმა ჯამალ ფათიმ მარცხი გაძევებას დაუბრალა, მანამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, კაცნაკლულობა კი გუნდს უმალ დაეტყოთ.

ვაჟა ხუციშვილი

მიხაელ ბალაკს „ბაიერნმა“ ახალი კონტრაქტი შესთავაზა

ბალაკი უცხოურად ლაპარაკობს

ბაიერნის კაპიტნის მომავალი

მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი ბუნდესლიგიდან წასვლას არ გამორიცხავს. მიუხედავად იმისა, რომ კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და მის გახანგრძლივებაზე ეცაჭრებიან.

„საზღვარგარეთ მოთამაშე ბევრმა გერმანელმა ფეხბურთელმა მირჩია, ბუნდესლიგაში დარჩენა არ ვიჩქარო. უცხო ქვეყნის კარგ ჩემპიონატში თუ ვითამაშებ, კიდევ უფრო დავიხვეწები და თან ეს მეტად საინტერესო იქნება“.

მიხაელ ბალაკის გადაბირება ყველაზე მეტად „ბარსელონას“ სურდა, მაგრამ მათ „პსვ ეინდჰოვენიდან“ მარკ ვან ბომელი იყიდეს, ბუნდესნაკრების კაპიტანმა კი განაცხადა, კლუბის პრეზიდენტი ახალ გარიგებას მთავაზობს, თუმც არ მაძალებს, ამიტომ ჯერ არაფერი გადამიწყვეტიაო.

თავად გერმანიის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა მილანის „ინტერი“, „მონაკო“ და „ტოტენჰემი“ მოიარა, ხოლო რობერტ ჰუთი და თომას ჰიცშლპერგერი პრემიერლიგაში თამაშობენ.

„მე მშვიდად ვარ — აღნიშნა ბალაკმა — კარიერის განმავლობაში ყოველთვის მიწევდა გადაწყვეტილების მიღება და არ შევმცდარვარ. ვიმედოვნებ, რომ ამჯერადაც სწორ გზას ავირჩევ. მოყვარულებიდან „კაიზერსლაუტერნში“ გადავედი, შემდეგ მიუნხენის „ბაიერნში“ და ახლა ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში ვთამაშობ, თან უცხოურ ლიგაში გადასვლის შანსი მაქვს“.

ᲗᲐᲓᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

სტუდენტი ცემა

მარსელინიოს ქეიფი გრძელდება



მარსელინიო

ბერლინის „ჰერტას“ ბრაზილიელმა მეგოლე მარსელინიომ სამშობლოში მავანი სტუდენტი ალვეშ დე აზევედო მიბეგვა. ასე გემრიელად და საინტერესოდ ატარებს შვებულებას ბერლინელთა ოქროსფერბუცეანი ფორვარდი.

ერთ-ერთ ღამის კლუბში დაითვრა მარსელინიო, მერე 25 წლის სტუდენტს აუხირდა და ისე სცემა, საწყალმა ბიჭმა გონება დაკარგა და ტრავმირებული საავადმყოფოში გააქანეს.

მარსელინიო, რომელიც ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, გერმანიის დედაქალაქშიც არ იკლებდა ღამის კლუბებში ხეტიალს და არაერთხელ დაუჯარიმებიათ ამის გამო. „ჰერტას“ გენერალურმა მენეჯერმა დიტერ ჰიონესმა რამდენჯერმე თქვა, ოღონდ გოლები გაიტანოს და ყოველ გოლზე ფულს გადავუხდიო. ორიგინალური, ოქროსფერი ბუცებით მოთამაშე მარსელინიო გუნდში ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი იყო, მაგრამ ღამეული სეირნობა ბრაზილიაშიც გააგრძელა. დიტერ ჰიონერმა განაცხადა, მჯერა, ჩვენი ფორვარდი უდანაშაულო იქნებაო.

ᲗᲐᲓᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გაბრიელ ჰაინცე: გიყვარდეთ ერთმანეთი ინგლისურად

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ გასულ სეზონში, მისი ქომაგების სასურველ სიმაღლეებს ვერ მიაღწია, მაგრამ ამაში გაბრიელ ჰაინცეს ბრალი ნამდვილად არ არის. მისმა ენერგიამ და ოსტატობამ „ოლდ ტრეფორდის“ საზოგადოება მისი „პარი სენ ჟერმენიდან“ გადმოსვლის დღიდანვე მოხიბლა. პარიზამდე კი იგი თამაშობდა მშობლიურ არგენტინაში, „ნიუელს ოლდ ბოისში“ და ესპანურ „ვალენსიაში“. გაბრიელ ჰაინცემ ახლახან გერმანიაში გამართულ კონფედერაციათა თასის გათამაშებაში ფინალს უწია, შემდეგ კი უეფას ვებ-გვერდის ჟურნალისტს ეს ინტერვიუ მისცა

—შარშანდელი ოლიმპიადის შემდეგ სრული სეზონი „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში და ახლა კონფედერაციათა თასი. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

— მთავარია, რომ ჩემი საქმე მიყვარს, ფეხბურთის თამაში დიდ სიამოვნებას მგვრის. გუშინ თუ გუშინწინ მკითხა ერთმა იგივე, მე კი ვუპასუხე, რომ თავისუფალი დრო ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ მექნება თავსაყრელად. მოკლედ, სანამ ფეხბურთელი ვარ, თუკი რამ შეჯიბრებაში მონაწილეობის საშუალება მექნება, გამოვიყენებ. სანამ სპორტსმენი საქმეს სერიოზულად უდგები და ემზადები, ყველა შეჯიბრებაში შეძლებ მონაწილეობას.

— ერთი სიტყვით, არ ფიქრობთ, რომ ამდენმა თამაშმა შეიძლება ფიზიკურად გამოგფიტოთ?

— არა, ამაზე ნამდვილად არ ვნერვიულობ. როგორც „მანჩესტერ იუნაიტედში“, ასევე არგენტინის ნაკრებში უმაღლესი რანგის პროფესიონალებთან ვმუშაობ და ვიცი, რომ ისინი საუკეთესოდ მომამზადებენ. მათი მომზადება ხანგრძლივი დროისა და მრავალი მატჩის განმავლობაში მიჰყვება სპორტსმენს.

— როგორ ფიქრობთ, რა უნდა იღონოს „მანჩესტერ იუნაიტედმა“, მომავალ სეზონში „ჩელსის“ და „არსენალს“ ღირსეული კონკურენცია რომ გაუწიოს?

— „იუნაიტედს“ ბრწყინვალე გუნდი ჰყავს, რომელშიც ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი თამაშობს, ამიტომ, ნამდვილად ვერ ვხედები, კიდევ რა უნდა ვიღონოთ. იქნებ იღბალიღა გვაკლია და მეტი არაფერი? მაგალითად, გასულ სეზონში, რამდენიმე თამაშში ისეთი გოლები ვერ გავიტანეთ, ადრინდელ პერიოდში ულაპარაკოდ რომ გაგვქონდა. ჰოდა, როდესაც ადამიანი ასეთ რამეს აწყდები, ხვდები, რომ საქმე მხოლოდ უიღბლობაშია. მეორე მხრივ კი, რაც უნდა მოხდეს, ნუ დავიწყებთ, რომ გაძლიერებას სხვებიც შეეცდებიან. ჩვენი მეტოქეებიც ღღითიღღე იკრებენ ღონეს.

— თქვენი აზრით, გასულ სეზონში რა გაკლდათ?

— აკი გითხარით, იღბალი. ისე, არ არის გამორიცხული, ზოგიერი თამაშში მეტი სიხარბე და დაჟინებაც გვმართებდა. მერედა, ჩვენი ფეხბურთი მეტწილად შეტევისგან შედგება, ამიტომ სრულიად შესაძლებელია ხანდახან დაცვაშიც გვეპარებოდეს შეცდომები.

— მოკლედ, გასულ სეზონში ინგლისურ ფეხბურთს შეეგუეთ. მომავალ სეზონში, ალბათ, რაიმე ახალ ნაბიჯს გეგმავთ...

— პირადად მე „მანჩესტერში“ ჩამოსვლის პირველივე დღიდან თავს მშობლიურ კლუბში ვგრძნობ. ითქოს, მთელი ცხოვრება „იუნაიტედში“ ვთამაშობდიო. ასე რომ, ადაპტაციის საჭიროება, უბრალოდ, არ მქონია. რაც შეეხება მომავალ სეზონს, თუ ამ სეზონში შარშანდელზე უკეთ ვითამაშებ, ამას რა ავჯობებს, ბედნიერი კაცი ვიქნები. მე ყოველთვის დონის ამაღლებას ვცდილობ. თუ ადამიანი თავს პატივს სცემს, ის მუდამ ცდილობს ოსტატობის ამაღლებას.

— ინგლისურ ფეხბურთში რამემ თუ გაგაკვირვათ?

— არაფერსაც არ გავუკვირვებივარ, რადგან ტელევიზიიდან ინგლისური ფეხბურთის შესახებ ბევრი რამ ვიცოდი. ამბობენ, თითქოს კაცი აქ რომ მოხვდება, თავს განსხვავებულ გარემოში იგრძნობსო. მე ის ვიგრძენი, რომ ფეხბურთელები, თან ერთი გუნდისანი კი არა, მეტოქეებიც კი, ერთმანეთს დიდი პატივისცემით ეპყრობიან და ასევე ეპყრობიან მაყურებელს. ასეთი რამ ადრე, არსად მენახა.

გაბრიელ ჰაინცე მანჩესტერულ ცხოვრებას ადვილად შეეგუა

სარგებელი კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		4 ივლისი						
21:00	14	ვოლვერჰემპტონ-ოდ გრენლანდი	1.45	4.00	6.50	1.06	1.18	2.47
		შვედეთი. ალსვენსკა						
		4 ივლისი						
21:00	23	ჰალმსტადი-მალმიო	2.55	3.30	2.35	1.43	1.22	1.37
21:00	24	იორგრიტე-ჰელსინგბორგი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
22:00	25	ელფსბორგი-კალმარი	1.80	3.40	3.70	1.17	1.21	1.77
		6 ივლისი						
21:00	26	ჰე

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

ბორჯღალოსანთა სხვანაირი ჯიგარი

შაბათ-კვირას ბათუმსა და ანდორაში ევრო-სერიის მორიგი ტურები გაიმართა შვიდკაცა რაგბიში. ჩვენ, რა თქმა უნდა, აჭარულ პერიპეტიებზე მოგითხრობთ.

10 გუნდი ორ ჯგუფად გაიყო და წრიული სისტემით საუკეთესო ადგილების დასაკავებლად დაიწყეს ბრძოლა. პირველ ჯგუფში საქართველოს, მოლდოვას, ჰოლანდიასა და აზერბაიჯანს აჭარის გუნდიც შეუერთდა, რომელიც სარეიტინგო ქულების ასაღებად არა და, ტურნირის მონაწილეობა შესაკვლევად კი მონაწილეობდა გათამაშებაში. ბულგარელებმა, რომელთა ხარჯზეც გუნდების რაოდენობა ათამდე უნდა ასულიყო, თავიდანვე თქვეს უარი ჩამოსვლაზე რაც უფინანსობით ახსნეს.

მეორე ხუთეულში რუსეთი, რუმინეთი, უკრაინა, ისრაელი და სომხეთი შეიყარნენ.

ფავორიტები რომ მასპინძლები, რუმინელები და რუსები იქნებოდნენ, თავიდანვე ეჭვი არავის ეპარებოდა. იუმცა სასვირო მატჩები სხვა გუნდებმაც მრავლად გვანახეს და, შეიძლება ითქვას, რომ საბოლოოდ ტურნირი მაროლაც ლამაზი საყურებელი გამოდგა.

სიურპრიზებიც არ მოგვკლებია და ზოგიერთმა გუნდმა იმაზე მეტად იყოჩაღა, ვიდრე მისგან ელოდნენ. მაგალითად მოლდოვას მოყვანა შეიძლება, რომელმაც ბათუმში მესამე ადგილი დაიკავა.

ჯგუფში საქართველომ ოთხი თამაშიდან ოთხივე მოიგო და თუ ცოტაი გაუჭირდა, მხოლოდ მოლოდავასთან, რომელმაც გვარიანი წინააღმდეგობა გაგვიწია და პირველი ტაიმი ფრედ, 5:5 დაგვიმთავრა. საბოლოოდ მეტოქე მეორე ტაიმში გატყდა და ჩვენც 19:10 მოვიგეთ.

აზერბაიჯანს, აჭარას და ჰოლანდიას ჯამში 135:0 მოვუგეთ და, რა თქმა უნდა, პირველ ადგილზე გასულებმა ნახევარფინალში ამოვყავით თავი.

„A“ ჯგუფში მეორე ადგილზე მოლდოვა გავიდა, რომელმაც ჩვენს გარდა ყველასთან დამაჯერებელად გაიმარჯვა.

ჰოლანდიამ 2 მოგებით და ამდენივე წაგებით მესამე პოზიცია დაიკავა, აჭარამ კი მხოლოდ აზერბაიჯანს მოუგო და მეოთხე ადგილზე გავიდა.

მაჩაჩალანი ჩვენი სამხრეთელი მეზობლები აღმოჩნდნენ, რომლებმაც ხუთივე თამაში წააგეს. აზერბაიჯანელებს ვერც იმან უშველა, რომ მათი მწვრთნელის, გურამ მოდებაძის ხათრით ტრიბუნები მხარს უჭერდნენ და როგორც შეეძლოთ, ისე ამხნევებდნენ.

„B“ ჯგუფშიც საინტერესო ამბები დატრიალდა. ჯგუფის ბოლო თამაში ისრაელ-სომხეთისა გახლდათ. სომხებს რომ წაეგოთ, ბოლო ადგილზე რჩებოდნენ და მეცხრე ადგილისთვის საბრძოლველად აზერბაიჯანს დაეჯახებოდნენ. ამათი „ურთიერთსიყვარულის“ ამბავი ხომ ყველამ ვიცით და მაღალი კლასის რაგბის თუ არა, ჟინიან და უპრინციპულეს თამაშს მაინც ვნახავდით. თუმცა სომხებმა ებრაელთა ძლევა მოახერხეს და აზერბაიჯანთან სათამაშოდ გაუშვეს, თვითონ კი სინის ნახევარფინალში ჰოლანდიას გადაეყარნენ.

მესამე ადგილზე უკრაინა გავიდა, მეორეზე კი რუსეთთან წაგების შემდეგ რუმინეთი აღმოჩნდა.

საბოლოოდ სინი და მეხუთე ადგილი უკრაინელებს ერგოთ. მათ სინის ფინალში ჰოლანდიელებს მოუგეს, მეშვიდე ადგილზე აჭარა გავიდა სომხების დამარცხების ხარჯზე, მეცხრე კი აზერბაიჯანთან მოგების შემდეგ ისრაელი გახდა.

თასისთვის ბრძოლა მეტად დაძაბული გამოდგა. საქართველო-რუმინეთის ნახევარფინალური მატჩი როდის არ იყო დაძაბული და ახლაც ასე გამოვიდა. თავიდან კარპატელები ტოლ-სწორად გვეთამაშნენ და კარგადაც გვანერვიულეს, თუმცა ბოლოსკენ გატყდნენ და 21:12 დათმეს მატჩი. მეორე ნახევარფინალში რუსეთს მოუწია ნერვიულობა. მოლდოვა კარგა ხანს 12:0-ს იგებდა და მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს ჩრდილოელებმა თამაშის შემოტრიალება და ფინალში გასვლა.

მესამე ადგილისთვის მატჩში რუმინეთმა მოლდოვასთან მოულოდნელად წააგო და შინ ხელცარიელი გაბრუნდა.

ფინალში საქართველო-რუსეთის შეხლამ ტურნირს ისეთი დაძაბულობა შესძინა, 2 დღის განმავლობაში რომ არ ეტყობოდა და მართლაც ისეთი თამაში გამოვიდა, როგორიც მის სტატუსს ეკადრებოდა.

პირველივე შეტევა შკინინის ლელოთი დასრულდა და კაჭარავას გარდასახვის შემდეგ 7:0 დავწინაურდით, მალევე მეორე ლელოც მივაყოლეთ, თუმცა მსაჯმა არ ჩაგვითვალა და მართალიც იყო — ჩვენებურმა აშკარად აუტის ხაზი გადაკვეთა.

რუსები გამოცოცხლდნენ და ისე ათამაშდნენ, როგორც მათ სამხრეთაფრიკელ მწვრთნელს გაუხარდებოდა. პირველ ტაიმში ჩვენ ხომ არა და არ გაგვატანინეს და თავად კი 2 ლელო მოგვართვეს, რომელთაგან ერთის გარდასახვა შეძლეს და ტაიმიც 12:7 მოიგეს.

მეორე ტაიმში კაჭარავამ ლელო გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა, თუმცა ამის შემდეგ ისევ აირია მონასტერი. ბორჯღალოსნები შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, იქვე ჩაფრებული „დათვები“ კი უმალ გადმოდიოდნენ შეტევაზე.

დაბნეულობამ და დაღლამ ის შედეგი გამოიღო, რომ ჩრდილოელებმა ზედიზედ 2 ლელო დაგვიდეს, ერთი გარდასახეს კიდეც და 24:12 დაწინაურდნენ.

მეორე ტაიმის შუაწლეში ჟამუტაშვილმა ერთის გაქვითვა შეძლო და ახლა უკვე 17:24 ვაგებდით, რუსთა ჩათვლის მოედანი კი სულაც არ ჩანდა ადვილად ასაღები სიმაგრედ.

მატჩის დამთავრებამდე 2 წუთილა რჩებოდა. გიორგი კაჭარავამ მეტოქის ლელოში შეაღწია და ანგარიში 22:24 გახდა. ოვერტაიმში მატჩის გადაყვანა მხოლოდ გარდასახვის გატანის შემდეგ იყო შესაძლებელი, თუმცა ბურთი ძელებს შორის არ შეფრინდა და ანგარიში არ შეცვლილა.

დრო ფაქტობრივად აღარ იყო, ჩვენ კი ლელო გვჭირდებოდა. ტრიბუნები ფეხზე დადგა და ერთიც შეუძახეს ბორჯღალოსნებს გასამხნევებლად... ელიზბარაშვილმაც აიღო და გაიტანა. 27:24 და საქართველო თასს დაეუფლა.

რუსები თავდახრილები ეახლნენ მწვრთნელს, მინდორზე კი ვახარებული ხალხი შეეარდა...

ასეა — რუსებს კარგა ხანია რაგბიში ვჯაბნით, მაშინაც კი, როდესაც თამაშით გვჯობნიან. სხვანაირი ჯიგარი აქვთ ჩვენს მორაგბეებს და იმიტომ.

მატჩის შემდეგ რუსთა მენეჯერმა რაფკატ სატაროვმა გამარჯვება მოგვილოცა და მოსკოვში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელზე თამაშიც გუშინ უკვე გავინაღდეთ, კარგ მასპინძლობას შეგვპირდა.

ლადო ფულუკიძე *ბათუმიდან*

2 ივლისი. ველინგტონი

ახალი ზელანდია 48:18 ლომები

ახალი ზელანდია: მილს მულიაინა, რიკო გირი, ტანა უმაგა (კაპ), აარონ მაუგერი (ლეონ მაკდონალდი 38); სიტივენი სივივატუ (მაა ნონუ 73), დენ კარტერი, ბაირონ კელეჰერი (ჯასტინ მარშალი 66); როდნი სოოიალო, რიჩი მაკქოუ, ჯერი კოლინზი (სიონე ლაუაკი 66), ალი უილიამსი, კრის ჯეკი (ჯონო გიბსი 74), გრეგ სომერვილი, კევინ მეალამუ (დერენ უითომბი 70), ტონი ვუდკოკი (კემბელ ჯონსტონი 78)

5 ლელო: უმაგა, სივივატუ, კარტერი 2, მაკქოუ; 4 გარდასახვა: კარტერი; 5 საჯარიმო: კარტერი

ლომები: ჯოშ ლიუსი, ჯეისონ რობინსონი, გარეტ თომასი (კაპ), გევინ ჰენსონი (შეინ ჰორგანი 70), შეინ უილიამსი; ჯონი უილკინსონი (სტივენ ჯონსი 60), დუეინ ფილი, რაიან ჯონსი, ლიუის მუდი, საიმონ ისთერბი, დონჩა ოკალაჰანი (მარტინ ქორი 73), პოლ ოკონელი, ჯულიან უაითი (გრემ როუნთრი 56-60), სტივ ტომპსონი (შეინ ბირნი 78), გეთინ ჯენკინსი (გრემ როუნთრი 60)

2 ლელო: თომასი, ისთერბი; 1 გარდასახვა: უილკინსონი; 2 საჯარიმო: უილკინსონი

ველინგტონში ლომები დაიბრიყვეს და ქულებით ამოტენეს



გარეტ თომასმა მატჩის პირველი ლელო კი გაიტანა, მაგრამ...

კარტერი ვერც თომასმა შეაჩერა და ვერც მთელმა ბრიტანეთმა და ირლანდიამ.

შაბათს სერ ჯლაივ ვუდვორდის ბრიტანელ და ირლანდიელ „ლომებს“ მეორედ მოუწია ახალზელანდიელთა რისხვის საკუთარ ტყავზე გამოცდა.

გეხსომებათ, პირველ ტესტმატჩში „შავებმა“ სტუმრებს სარაგბო გაკვეთილი ჩაუტარეს, რამდენიმე მორაგბე დაუმტვრიეს, 21:3 მოუგეს და მწვრთნელს შემადგენლობის კარდინალურად შეცვლა გადაწყვეტინეს.

ვუდვორდის ცვლილებებზე უკვე ვწერდით და ამაზე აღარ შეეჩერდებით, ერთს კი აღვნიშნავთ: ამ ცვლილებებმა ის შედეგი გამიღო, რომ ბრიტ-ირლანდიელთა გუნდი აშკარად უკეთ ათამაშდა და მიუხედავად იმისა, რომ ახლა უფრო დიდი სხვაობით წაგო, ვიდრე პირველ სატესტო შეხლაში, მეტად თვალსაჩინო ბურთაობა გაჩაღდა, სადაც მხოლოდ ერთი გუნდი არ ყოფილა მოედნის ბატონ-პატრონი და ავად თუ კარგად სტუმრებიც თავისას ცდილობდნენ.

პირველ წუთებში თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა. „ვესთფაქ სტადიუმზე“ შეკრებილმა მაყურებელმაც თავისი წილი ნათი დასხა ჯიგრანად შემართული „ლომების“ დანთებულ ცეცხლს. ზელანდიელები ჯერ მხოლოდ ჰაკას ასრულებდნენ, როდესაც ბრიტანელმა ტურისტებმა მათი გუნდის სახელის სკანდირება დაიწყეს და დამხვდურთა საბრძოლო ყიჟინა კინაღამ გადაფარეს.

თამაშში ბურთი უილკინსონმა შეიყვანა და სტუმრებმა ჯიქურ შეუტიეს კიდეც მეტოქეს. პასი გარეტ თომასს მიუვიდა, გათამაშების შემდეგ მასვე დაუბრუნდა და ახალგაკაპიტნებულმა თომასმა მაორთა ლელოში შეინავარდა. უილკინსონის გარდასახვა და ევროპელები დებიუტშივე 7:0 გაიდნენ წინ.

კიდევ რამდენიმე წუთს უტევდნენ „ლომები“ გამალებით და, რაც ყველაზე გასაკვირია, მასპინძლებს ბურთიც კი დაუმალეს.

პირველად . ახალზელანდიელებმა ბურთი მეექვსე წუთისთვის მოიხელთეს, როდესაც რაქში პოლ ოკონელი დაჯარიმდა და აუტზე გადაგდებული ბურთი მასპინძლებმა მარჯვედ შემოაბრუნეს თამაშში.

შეუტიეს მასპინძლებმა და ახლა ევროპელებს მოანატრეს ბურთთან შეხება. მათმა სიჩაუქემ ის შედეგი გამოიღო, რომ ვუდვორდის ბიჭები ორჯერ უადგილო ადგილას დაჯარიმდნენ და დენიელ კარტერმაც, რომელმაც შაბათს „ლომების“ წაქცევაში ლომის წილი დაიდო, ორჯერვე ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. დიდი ხანი არ გასულა და დამხვდურებმა ლელოც გაიტანეს. ბურთი ტანა უმაგას მიუვიდა და კარტერს გადააწოდა. ამ უკანასკნელმა გევინ ჰენსონი ჩამოიტოვა და ისევ კაპიტანს დაუბრუნა ბურთი. დიდმა ბელადმა არც აცია, არც აცხელა და მეტოქის ლელოში შეიჭრა. კარტერს ხომ გარდასახვა არ გაუჭირდებოდა და ანგარიში 13:7 გახდა.

ის იყო მასპინძელ ქომაგს ეგონა, ყველაფერი თავის ადგილზე დგება და მომხვდურნი საბოლოოდ გატყდნენო, რომ უილკინსონმა კარტერის ერთი საჯარიმოს წილ ზელანდიელთ ორჯერ ზუსტად დაურტყა და ბრიტანელ-ირლანდიელებმა სხვაობა სამ ქულამდე შეამცირეს. პირველი ტაიმის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე ტაბლოზე 16:13 ენით ახალზელანდიელთა სასარგებლოდ.

ცოტაც რომ გაეძლოთ სტუმრებს, ეგებ მეორე ტაიმში უფრო დაძაბული ბრძოლა გაჩაღებულიყო, თუმცა მასპინძლებმა ლელოს გატანა მოახერხეს. სივივატუმ რიკო გირის პასი შეირგო და კუთხეში დაამწა ბურთი. 21:13 და მალევე მსაჯმა გუნდებს მიუთითა, შეისვენეთო.

მეორე ტაიმს დაწვრილებით აღარ აღვწერთ და შემდეგ სტატისტიკურ მონაცემებს მოგაწვდით. დანიელ კარტერმა ორჯერ გაიტანა ლელო და ორჯერვე გარდასახა, ერთი გარდასახვაც მაქკოუს ლელოს მიაყოლა. ამას გარდა, კიდევ 2 საჯარიმო დაარტყა ზუსტად და ჯამში ამ მატჩში სულ 33 ქულა მოაგროვა, რაც „ლომების“ წინააღმდეგ ნათამაშევ ზელანდიელთა შორის აქამდე არავის მოუხერხებია. ძველი რეკორდი დონ კლარკს ეკუთვნოდა, რომელმაც 1959 წელს ბრიტანელ-ირლანდიელებს ერთ მატჩში 18 ქულა აართვა.

როგორც ხედავთ, კარტერის რეკორდი წინას ბარე ორჯერ აღემატება და აბა, იმასაც თუ გამოიცნობთ, მატჩის საუკეთესო მოთამაშე ვინ გახდა.

მეორე ნახევარში „ლომებმა“ 5 ქულის დაგროვება შეძლეს. ლელო ისთერბიმ გაიტანა. მატჩი 48:18 დამთავრდა, რაც კიდევ ერთი რეკორდია. ამდენი ქულა ზელანდიელთ „ლომებისთვის“ ჯერ არ გაუტანიათ. ბოლო რეკორდი 1983 წელს გატანილი 38 ქულა გახლდათ.

ლადო ფულუკიძე

უიმბლდონი 2005

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 10 085 510 გირვანქა სტერლინგი

ვინუს უილიამსი



როჯერ ფედერერი



მამა რიჩარდი შვილის, ვინუს უილიამსის კუნტრუშს ფირზე აღბეჭდავდა

AFP ლონდონიდან

ატირებული ფედერერი და აკუნტრუშებული უილიამსი

ვინუსის აპოლოგია

ფინალი

ვინუს უილიამსი (14, აშშ) — ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) 4:6 7:6 (7:4) 9:7

სხვებისას ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ მე — „სარბიელის" ჩოგბურთზე მწერალი ერთი უბირი კაცი — ყოველთვის იმ აზრზე გახლდით, რომ ვინუს უილიამსი თავის უმცროს დაიკო სერენაზე ნიჭიერი და დასტურ კარგი მეჩოგნე იყო.

მათ, ვისაც სტატისტიკაში ჩოგანი ჩაუყვია და იცის, რომ 2002-03 წლებში სერენამ ვინუსი ზედიზედ ხუთ სლემფინალში დაჩოგნა, ეგებ გაუკვირდეთ კიდეც, ეს რაებს მიედმოედებაო. მაგრამ საქმე ეგრე მარტივადაც არ არის და დაინტერესებულ პირთ ნაჩქარევი დასკვნებისგან თავის შეკავებას გეკადრებით.

მართალია, სერენა ამჭრის უკილობელი ბაყვბაყვდევია და რაგინდარა კორტსაც დამთრგუნველად ავსებს თავისი ხორციელი ბარაქით, მაგრამ ვინუსის საქმე სულ სხვაგვარია — უფრო ნატიფი, გონიერი და დახვეწილი, როგორც რომ შეყვარებული ქალის ამბორი.

სწორედ ამ ამბორსა ჰგავს ვინუსის უილიამსებრ ლონიერი და იმავდროულად ოდენ მისებრ ჭკვიანური, ბრძნული საკორტო გარჯა, რამაც მას ჯერ უიმბლდონობის შარშანდელი წაწყლა ჩემპიონი მაშა შარაპოვა მოადრეკინა, შაბათს კი — ამჭრის ამაგდარი პირველობანი ლინდსი დევენპორტიც.

ჰაი-ჰაი, რომ უდიდებულესი თამაში იყო, შეუპოვარი, მაღალხარისხოვანი და შუშპარა. თანაც — არაჩვეულებრივმა ლინდსიმ — ვინაც შარშან სადღაც ამ დროს კორტიდან წასვლას რომ ეშურებოდა, ხოლო მერე უეცრად ფანტასტიკურად აბურთავდა და წლის ბოლოს რეიტინგსიის სათავეშიც კი აჯდა, და ვინუსმა — ამ უმცროსი, უფრო კადნიერი დედმამიშვილის გამო სათანადოდ ვერგაფურჩქნულმა კოკორმა უიმბლდონური ფინალისთვის სარეკორდოდ ხანგრძლივად, ორი საათისა და 45 წუთის განმავლობაში იგანდაგანეს. ამით მათ რეკორდოსნობის პატივი ჩამოართვეს 1970 წლის ფინალში ორი საათისა და 28 წუთის მანძილზე ნაჩახაჩუხეკ ლეგენდარულ დედაკაცებს — ავსტრალიელ მარგარეტ კორტსა და ამერიკელ ბილი ჯინ კინგს.

ერთი სიტყვით, ვინაც იმ დღეს ეს თამაში იხილა, არაფერი დაუკარგავს. პირუკუ — კიდევ ერთხელ დატკბა ისეთი სანახაობით, რისი შემოთავაზებაც მხოლოდ ყვითელი ბაყაყა ბურთის დიდოსტატებს ჩოგანეწიფებათ.

ხოლო პროზაზე რომ გადავიდეთ, ეს მათი 27-ე შეხლა იყო და ვინუსი ლინდსისთან მხოლოდ 14:13-ღა აგებს.

სხვათა შორის — ღია პირველობათა ერაში ანუ 1968 წლიდან დღემდე ვინუსი გახლავს ყველაზე „ნაკლებნომრიანი" მეჩოგნე, სეხნია რიუზვთერის ხონჩა რომ აღმარია.

მადლიერ მკითხველს კი ისიც უნდა ახსოვდეს, რომ ეს ხონჩა მას 2000-01 წლებშიც ალუმარითავს, მიმდევნო ორი წლის განმავლობაში კი ეს ამბავი თავის უმცროს დაიკოს დაუთმო.

ალბათ არის უზენაესი სამართლიანობა იმაში, რომ სერენას ორეულის უიმბლდონისტობის საპირწონედ ვინუსი უკვე სამგზის უიმბლდონის ჩემპიონია.

არავინ იცის, რა იქნება ვინაც და იმის მერე, მაგრამ ახლა ვიცოდეთ სწორედ ამგვარია და გასაიოლებას არ ექვემდებარება.

ვინუსს გაუმარჯოს, ლინდსის დამსახურებულ ლაჩიერს!

***

შვედმა როჯერ ფედერერმა ზედიზედ მესამედ მოიგო უიმბლდონის ტურნირი. ფინალში მან ამერიკელ ენდი როდიკს სძლია — 6:2, 7:6, 6:4.

23 წლის ფედერერმა რიჩარდმაც რეიტინგით თავისი მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი დაამტკიცა და გახდა მსოფლიოს მესამე ვაჟი, რომელმაც უიმბლდონში ჰეი ირიკი შეასრულა. მანამდე ასეთ წარმატებას მხოლოდ ბიორნ ბორგმა და პიტ სამპრასმა მიაღწიეს.

ფედერერისთვის უიმბლდონური ბოლო მატჩი ზედიზედ 21-ე მოგებული ფინალი და ზედიზედ 36-ე საბალახსაფურო გამარჯვება იყო.

ახლა, როცა როჯერ ფედერერმა ბოლო ჩაწოდება მოიგო, ბალახზე გულაღმა განერთხო და სიხარულისგან ჭკვირდა.



ლეილა მესხი

ბერაბ ფოფლანიშვილის ფოტო

ახალი ტრადიცია

ჩოგბურთელებმა კარი ყველას გაუღეს

საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა ლეილა მესხმა გუშინ აქტიური სპორტული წლები გაიხსენა და ჩოგანი ერთხელაც მოიმარჯვა. ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ამით ერთ ლამაზ სიახლეს ჩაუყარა საფუძველი. 3 ივლისი საქართველოში ჩოგბურთის ღია კარის დღედ გამოაცხადა.

ფედერაციის ინიციატივით გუშინ საქართველოს ყველა საჩოგბურთო კორტი უფასოდ მოემსახურა მსურველებს და ამიერიდან ყოველი წლის 3 ივლისს ასევე იქნება.

„ჩოგბურთის მოყვარულებისთვის გაკეთებული ეს სიურპრიზი, რაც ისევ ქართულ ჩოგბურთს წაადგება, მის პოპულარობას გაზრდის. თან ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში მცირე წვლილს ჩვენც შევიტანთ — გვეუბნება ლეილა მესხი — დილით თბილისის ყველა კლუბი მოვიარეთ და ყველგან მშვენიერი ვითარება დაგვიხვდა. ტარდება მინი-ტურნირები, გამოცდილი მწვრთნელები კი ნებისმიერ მსურველს უანგაროდ გადასცემენ ცოდნას. იგივე ხდება ბათუმის, ქუთაისისა და თელავის საჩოგბურთო კლუბებშიც. მადლობა ჩვენს ოფიციალურ სპონსორ „კოკა-კოლას", რომელიც ამ წამოწყებაში ყველანაირად გვერდში დაგვიდგა. ჩოგბურთის ღია კარის დღე ამიერიდან ტრადიციული გახდება".

ოთარ გაღლაკელიძე

იააფ-ის სარეიტინგო კენწეროები



ელენა ისიმბაევა



ასაფა პაუელი

რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისიმბაევა ვინც მსოფლიოს რეკორდის პანტა-პუნტით ამყარებს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) რეიტინგის სათავეშია.

ისიმბაევას 1451 ქულა დაუგროვდა. მეორე და მესამე ადგილებს 1425 — 1425 ქულით იყოფენ ასევე რუსი ტატიანა ლებედევა (სიგრძეზე ხტომა და სამხტომი) და შვედი კაროლი კლიუფტი (შვიდჭიდი).

იააფ-ის ვაჟთა რეიტინგს ლიდერობს იამაიკელი სპრინტერი ასაფა პაუელი, რომელმაც ამას წინათ 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდი გაუმჯობესა (9,77). პაუელს 1433 ქულა აქვს.

რუსს მექსიკელი შემოაკვდა



შაბათს ლას ვეგასში გარდაიცვალა 26 წლის მექსიკელი მოკრივე მარტინ სანჩესი, რომელიც წინა საღამოს რუსმა მბაღე ნონის რუსტამ ნუგაევმა, რომელსაც ზედმეტსახელად „მანგუსტს" უწოდებენ, ნოკაუტში ჩააგდო.

ამ ორი მოკრივის ბრძოლაში მთელი ცხრა რაუნდის განმავლობაში დარტყმები მხოლოდ ერთი მიმართულებით იყო მანამ, სანამ მექსიკელი ნოკაუტში ჩავარდებოდა. იმ საშინელი დარტყმის შედეგად მარტინ სანჩესი ბაგირებს შორის გავარდა და რინგიდან გადავარდა. მიუხედავად ამისა, იგი თითქოს ნოკაუტიდან გამოვიდა და მეტოქეს გამარჯვებაც კი მიულოცა. ამასთან, სანჩესი გასახდელში საკუთარი ფეხით გავიდა.

წინასწარი მონაცემებით, მექსიკელის სიკვდილი ტკინში სისხლჩაქცევამ გამოიწვია.

ბოლო ცნობილი ტრაგედია, რომელიც მოკრივის აღსასრულით დასრულდა, ინდონეზიაში მოხდა. მაშინ ნოკაუტით დამთავრებული ბრძოლიდან ერთი კვირის შემდეგ მოკვდა 20 წლის ანტონიო მოზეს სერამი, ის მატჩი კი მთელს ქვეყანაში გადაიცემებოდა.

სიტყვამ მოიტანა და ისიც უნდა ითქვას, რომ ინდონეზია პროფესიული კრივისთვის ყველაზე სახიფათო ქვეყნად ითვლება. 2001 წლის დეკემბერში ყვეზე პრესტიჟულმა საკრივო ორგანიზაციამ — მსოფლიოს კრივის საბჭომ (**WBC**), ინდონეზიაში თავისი ვერსიით ბრძოლები აკრძალა მას მერე, როცა თვრამეტი თვის განმავლობაში ამ ქვეყანაში ხუთი მოკრივე დაიღუპა. 2002 წლის ივლისის მერე, როცა შეიქმნა **WBC** ვერსიით ორთაბრძოლებზე კონტროლის კომისია, დისკვალიფიკაცია გააუქმეს.

ევროპის შავთა ჩემპიონატი

ვარშავა. პოლონეთი. 17 ივნისი - 3 ივლისი

XIII ტური

ლევან ფანცულაია (საქართველო)	0,5:0,5	ეგენი ნაყერი (რუსეთი)
ლუბომირ ფტაჟნიკი (სლოვაკეთი)	0,5:0,5	ზვიად იზორია (საქართველო)
ბაადურ ჯობავა (საქართველო)	0:1	რადოსლავ ვოიტაშეკი (პოლონეთი)
ჰანეს სტეფანსონი (ისლანდია)	0,5:0,5	მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო)
გრეგორ გაჯევსკი (პოლონეთი)	0:1	მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო)
ამირ ბაგერი (საფრანგეთი)	0,5:0,5	დავით მაღალაშვილი (საქართველო)
ლაიოშ პორტიში (უნგრეთი)	0,5:0,5	ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო)

რუმინელის შავით მოგებული ოქრო

ევროპის მეექვსე ჩემპიონი 34 წლის რუმინელი დიდოსტატი ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ გახდა. რუმინელმა მოჭადრაკემ 13 შესაძლებლობიდან 10 ქულის მოპოვება შეძლო და ნახევარი ქულით აჯობა მეორეადგილოსან აზერბაიჯანელ თეიმურაზ რაჯაბოვს.

ბოლო ტურის წინ ცხრილს ერთდროულად 9-9 ქულით ორი მოჭადრაკე — ნისიპიანუ და სლოვენელი ალექსანდრ ბელიავსკი — ლიდერობდა. შეგახსენებთ, რომ თამაშები შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა და გადამწყვეტ ტურშიც ლიდერები დაეჯახნენ ერთმანეთს.

ბელიავსკიმ ლაზიერის გამბიტით დაიწყო პარტია და საბრძოლველად მსუბუქ ფიგურები გამოიყვანა. მეტოქეები დაფაზე ჯარის მანევრირებას შეუდგნენ. ორივე დიდოსტატი ბრწყინვალედ თამაშობდა, თუმც თეორებმა ერთ მომენტში დასანანი შეცდომა დაუშვეს და 49-ე სვლაზე ევროპული ოქრო შავებს დაუთმეს.

დამარცხების მიუხედავად, ბელიავსკის თამაში სპეციალისტებმა დადებითად შეაფასეს.

„ალექსანდრ ბელიავსკის შეეძლო, სწრაფი ყიმით თამაში ტაი-ბრეიკებში გადაეტანა, მაგრამ ასე არ მოიქცა და ბრძოლა გაგრძელა. ბელიავსკის მხოლოდ გამარჯვება სურდა, თუმც პირიქით, წაგო და ოქრო ნისიპიანუს ერგო. ჩვენ ნამდვილად ბრწყინვალე მატჩი ვიხილეთ" — განაცხადა საერთაშორისო დიდოსტატმა ალექსანდრ გზერგონშკიმ.

გამარჯვებულ ნისიპიანუს პრემიის სახით 20 ათასი ევრო ერგო, ბელიავსკის კი 16 ათასი.

ტაი-ბრეიკებში გაირკვა ბრინჯაოს პრიზიორის ვინაობა. ბოლო ტურში მესამე ადგილზე 9 ქულით ერთბაშად 7 მოჭადრაკე წამოსკუპდა და ორგანიზატორებმა მათთვის დამატებითი პარტიები დანიშნეს, ტაი-ბრეიკებში კი ყველას სომეხმა ლევონ აროიანმა აჯობა. გადამწყვეტ შეხვედრაში მან 15 წლის უკრაინელ სერგეი კარიაკინს მოუგო 2,5:1,5 და ბრინჯაოს მედალთან ერთად საპრიზო 12 ათასი ევროც ჩაიჯიბა.

ქართველი მოჭადრაკეები შარშანდელივით უმეტლოდ დარჩნენ, თუმც ფანცულაია და იზორია 34 საუკეთესო სპორტსმენს შორის მოხვდნენ და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებიც მიიღეს. ფანცულაია თავიდანვე ყოჩაღად თამაშობდა და იქ მოხვედრა არ გასჭირვებია, იზორიას კი ამის გამო დამატებითი პარტიების ჩატარება მოუხდა.

ტაი-ბრეიკებში იზორია ხორვატ მლადენ პალაკს დაუპირისპირდა და 3:2 მოუგო, შეხვედრა კი დაძაბული გამოდგა და საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა.

პირველ მატჩში იზორიამ იმარჯვა, მეორეში — პალაკმა და კვლავ ორი პარტიის დამატება გახდა საჭირო. მეორე დამატებული შეხვედრა მოგებით ხორვატმა დაიწყო, თუმც განჭიერებითში იზორიამ ანგარიში გაუთანაბრა და გადამწყვეტ მატჩშიც შავი ფიგურებით 33 სვლაში მოუგო.

ლაშა გეგეჭკორი



გადამწყვეტ მატჩში ნისიპიანუმ ბელიავსკი დაამარცხა

1	ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ (რუმინეთი)	10 ქულა
2	თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	9,5
3	ლევონ აროიანი (სომხეთი)	9
19	ლევან ფანცულაია (საქართველო)	8
44	ზვიად იზორია (საქართველო)	8
76	ბაადურ ჯობავა (საქართველო)	7
84	მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო)	7
104	მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო)	7
127	დავით მაღალაშვილი (საქართველო)	6,5
135	ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო)	6

მარგო და მისი ცოლი

ესტონელმა უსორგმა, რომელსაც მარგო ჰქვია, მაგრამ ეს მარგო ქალი კი არა, კაცია, თავისი „ცოლი" ხელში აიყვანა თუ მხრებზე შეისვა და ასე აეტორღიალებული არბენინა ასფალტიან გზაზე, მდელოზე, ქვიშიან სანაპიროზე, კისრამდე წყალში და 253,5 მეტრის მერე ფინიშთანაც მივიდა. მას უკან მისდევდა კიდევ ათი ქვეყნის 40 კაცი, რომლებსაც საკუთარი თუ სხვისი ცოლები აეტორღიალებინათ, მაგრამ მარგო უსორგს ფინიშთან ვერავინ მიასწრო.

ასე და ამგვარად, უსორგმა ამ უცნაურ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც ფინეთის ქალაქ სონკაიარვიში 1992 წლიდან ტარდება, მეოთხედ გაიმარჯვა.

ლამის დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ 25 წლის მარგოს პარტნიორი 23 წლის ეგლ სოლი იყო. ამ წყვილმა დისტანცია 59 წამში დაფარა, მსოფლიოს რეკორდი კი მარგოს ეკუთვნის — 55, 5 წამი, ოღონდ მაშინ, 2001 წელს, ეს კაცი ხელში აყვანილ ბირგიტ ულრიხთან ერთად დარბოდა. მას მერე მარგომ ახლა მეორედ გაიმარჯვა.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ნაკრებისა და ვითას ყოფილი წევრის

კახა ბარამიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ფორმულა 1. 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეათე ეტაპი

ფრანგული ეტაპი ფრანგული მანქანით მოიგეს

ორი კვირის წინანდელი, საშვილიშვილოდ შერცხვენილი ამერიკული ეტაპის შემდეგ ფორმულა-ერთი მშობლიურ ევროპას დაუბრუნდა.

არადა, ფრანგული ეტაპის ჩატარებაც თითქოს სათუო ჩანდა. იქაურმა „მწვანეებმა" გაახურეს, საფორმულო ბოლიდები გარემოს დიდად ვნებენ. ამიტომ ტრასისკენ მიმავალ გზებს გადავკეტავთ და რბოლას ჩავშლითო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს იაფფასიანი, სარეკლამო აქცია გამოდგა და საფრანგეთის 56-ე დიდი პრიზის გათამაშებასაც წინ არაფერი დადგომია. პარიზიდან ორასიოდე კილომეტრით დაშორებულ „მანი კურის" ავტოდრომს მინი-იუბილე ჰქონდა — 1991 წელს გახსნილ ამ საშუალოდ ჩქარონსულ და უსაფრთხო ტრეკზე „სამეფო რბოლების" წარმომადგენლებმა გუშინ მეთხუთმეტედ გაიჯირითეს.

ცნობისთვის — მსოფლიოს პირველივე ჩემპიონატიდან (1950) კალენდარში უცვლელად მდგომი ეტაპი მომთაბარეობის მხრივ რეკორდსმენია — ფრანგულ რბოლებს შვიდმა ტრეკმა უმასპინძლა.

შაბათს კვალიფიკაცია ჩემპიონატის ლიდერმა ფერნანდო ალონსომ მოიგო, 60-ეტაპიან კარიერაში მეხუთედ. მეორე შედეგი ტოიოტელ იარნო ტრულის ჰქონდა, მესამე — მაკლარენელ კიმი რაიკონენს, მაგრამ რადგან წინა დღის ვარჯიშისას მის ბოლიდზე „შერსედესის" ძრავა შესაცვლელი შეიქნა, ფინელი სტარტზე ათი საფეხურით ჩამოქვეითდა და პრაქტიკულად გამარჯვების შანსიც გაუქრა, მაგრამ მაინც ისე ყოჩაღად

ფერნანდო ალონსო მეხუთე რბოლის მოგებით ჩემპიონობას უფრო დაუახლოვდა

AFP მანი კურიდან

ირბოლა, რომ ფინიშთან მეორე მიიჭრა.

სტარტი კი ჩინებულად აიღო და მეწინავეობა თავიდანვე არავის დაუთმო ალონსომ. აქვე ვიტყვით, რომ საკმაოდ ეროვეროვან, უინტერესო ბრძოლაში თვალსასაჩინო ბევრიც არაფერი მომხდარა. ნანდომ როგორც ყველაზე წინ დაიწყო, ასევე დაასრულა, თანაც ისე, რომ ლიდერობა ერთხელაც არავისთვის დაუთმია და უსწრაფესი წრეც რომ მიეთვალა, ფრანგულ ეტაპს აბსოლუტური გამარჯვებით, ანუ „დიდი სლემით" მოიგებდა.

ალონსო თავიდანვე ისე დაფეთებული მოწყდა ქარავანს, რომ ათი წრის შემდეგ უკვე 15 წამით ჩამოიტოვა უახლოესი მდევარი და ცხადი გახდა, რომ მისი დამწეევი გუშინ არავინ იყო. საპრიზო ადგილების განაწილებაში კონკურენტთა ორ-სამ პიტსტოპიანმა ტაქტიკამაც ვერ შეიტანა ცვლილება. ეგაა, მესამე პოზიციაზე მყარად მიშავალ ხუან-პაბლო მონტოიასთვის ძრავას რომ არ ეღალატა, საპოდიუმო ადგილს არ დათმობდა.

ზედიზედ მესამე პოდიუმით ჩინებული საჩემპიონო შანსი გაუჩნდა მიხაელ შუმახერს. მართალია, სადღეისოდაც მისი ჩამორჩენა ლიდერთან საკმაოდ საგრძნობია, თუმც ვფიქრობთ, შუმის ბოლოდროინდელმა გააქტიურებამ მას ტიტულის შენარჩუნების შანსი მისცა.

რაც მთავარია, ჩემპიონატის ისედაც ლიდერმა ალონსომ წლეულს უკვე მეხუთე დიდი პრიზი მოიგო და სატურნირო ვითარებაში იმჯელა სხვაობით დაწინაურდა, ლაბის განდდებული აქვს ტიტული.

ვერ იყოჩადა მიხაელის თანაგუნდელმა რუბენს ბარიკელომ. მანქანის უხეირობა იყო თუ მძღოლისა, რუბინიო მეცხრე, უქულო ადგილზე დარჩა და საპრიზო შანსიც დაკარგა

აღსანიშნავია, რომ წლეულს პირველი ქულები მოიპოვა ბარ-ელმა ჯენსონ ბატონმა. უამრავი კოლიზიის შემდეგ, ბრიტანელი მძღოლი მეოთხე ადგილზე გავიდა და საამისო ხუთი ქულით თავისი პირადი ანგარიში გახსნა.

გია ახალაძე



რბოლის შედეგები

საფრანგეთის დიდი პრიზი
3 ივლისი. მანი კური

დისტანცია 70 წრე — 308,586 კმ

1.	(1)	ალონსო (რენო)	1:31.22,233 (202,6 კმ/სთ)
2.	(13)	რაიკონენი (მაკლარენი)	ჩამორჩა 11,8
3.	(3)	მ.შუმახერი (ფერარი)	1.22,0
4.	(7)	ბატონი (B.A.R)	1 წრით
5.	(2)	ტრული (ტოიოტა)	1 წრით
6.	(6)	ფიზიკელა (რენო)	1 წრით
7.	(11)	რ.შუმახერი (ტოიოტა)	1 წრით
8.	(10)	კოლნეგი (ზაუბერი)	1 წრით
9.	(5)	ბარიკელო (ფერარი)	1 წრით
10.	(15)	კულპარდი (რედ ბული)	1 წრით
11.	(4)	სატო (B.A.R)	1 წრით
12.	(12)	ვებერი (უილიამსი)	2 წრით
13.	(19)	მონტეიროო (ჯორდანი)	3 წრით
14.	(14)	პიდფელდი (უილიამსი)	4 წრით
15.	(17)	კარტიკეიანი (ჯორდანი)	4 წრით

რბოლას გამოეთიშნენ

(8)	მონტოია (მაკლარენი)	გაიარა 47 წრე
(20)	ალბერსი (მინარდი)	38
(18)	ფრიზაბერი (მინარდი)	34
(9)	მსა (ზაუბერი)	29
(16)	კლიენი (რედ ბული)	1

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული

ალონსო — 1:14,412 (213,4 კმ/სთ)

საუკეთესო წრე

რაიკონენი — 1:16,423 (207,8 კმ/სთ)

	ავსტრალია 6 მარტი	მალაიზია 20 მარტი	ბაჰრეინი 3 აპრილი	სან მარინო 24 აპრილი	ესპანეთი 8 მაისი	მონაკო 22 მაისი	ევროპა 29 მაისი	კანადა 12 ივნისი	აშშ 19 ივნისი	საფრანგეთი 3 ივლისი	დიდ ბრიტანეთი 10 ივლისი	თურქეთი 24 ივლისი	მონცა 31 ივლისი	ბელგია 21 აგვისტო	იტალია 4 სექტემბერი	სინგაპური 11 სექტემბერი	ბრაზილია 25 სექტემბერი	იაპონია 9 ოქტომბერი	ჩინეთი 16 ოქტომბერი	ქულა
1 ალონსო რენო, ესპანეთი	6	10	10	10	8	5	10	–	–	10										69
2 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი	1	–	6	–	10	10	–	10	–	8										45
3 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია	–	2	–	8	–	2	4	8	10	6										40
4 ტრული ტოიოტა, იტალია	–	8	8	4	6	–	1	–	–	4										31
5 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია	8	–	–	–	–	1	6	6	8	–										29
6 პაიდფელდი უილიამსი, გერმანია	–	6	–	3	–	8	8	–	–	–										25
7 ვებერი უილიამსი, ავსტრალია	4	–	3	2	3	6	–	4	–	–										22
8 რ. შუმახერი ტოიოტა, გერმანია	–	4	5	–	5	3	–	3	–	2										22
9 ფიზიკელა რენო, იტალია	10	–	–	–	4	–	3	–	–	3										20
10 კულპარდი რედ ბული, დ. ბრიტანეთი	5	3	1	–	1	–	5	2	–	–										17
მონტოია — 15, მსა — 7, ვერგი (მაკლარენი), მონტეიროო, ვილნეი — 6, კარტიკეიანი — 5, დე ლა როსა (მაკლარენი), ალბერსი, კლიენი — 4, ფრიზაბერი — 3, ლიუკი (რედ ბული) — 1 ქულა																				
1 რენო	16	10	10	10	12	5	13	–	–	13										89
2 მაკლარენი	4	5	10	6	12	14	2	10	–	8										71
3 ფერარი	8	2	–	8	–	3	10	14	18	6										69
4 ტოიოტა	–	12	13	4	11	3	1	3	–	6										53
5 უილიამსი	4	6	3	5	3	14	8	4	–	–										47
რედ ბული — 22, ზაუბერი — 12, ჯორდანი — 11, მინარდი — 7 ქულა																				

ბურთით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული ტანვარჯიში იმგვარი რამაა, რომ წამის შეჩერება დიდად გააოცებს მიუჩვეველ კაცს. ფოტოოსტატობაც ის არის, რომ ის, რასაც თვალს ძნელად შეასწრებ, შეაჩეროს და მნახველში გაავრცელოს. გამოსვლა ბურთით ესპანელი ალმუდენა სიდისთვის (გაწოლილი) და ბერძენი ელენი ანდრიოლასთვის სამედლო იყო: პირველმა ოქრო მოიგო, მეორემ ბრინჯაო. ამბავი კი ტანვარჯიშის XV ხმელთაშუაზღვურ თამაშებზე იყო.



AFP ალმაგრიიდან

ფიგუს თასისთვის

ლისაბონიდან ბარე 300 კილომეტრზე, ვილამორას საგოლფე კლუბში ლუიშ ფიგუმ თავისი თასი გამოიტანა ჯილდოდ და მეგობრებსაც დაუძახა. ფოტოზე რონალდოა, თუმცა პორტუგალიაში სხვა ვარსკვლავებიც არიან, ისევ და ისევ ფიგუს მიწვევით.

AFP ჟილაბორიდან

AFP ოკლენდიდან

ბეისბოლური შეჯახება

აი, ეს არის ბეისბოლის ყველაზე მშფოთვალე წამი: ოკლენდელი მარკ ელისი მოასწრებს ბურთის დაჭერას თუ ჩიკაგოელი ხუან ურბე საჭირო ადგილზე ფეხის შედგმას?

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხიმერაკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge